



## იურიდიკული დახმარების საბჭო

№ 75

"4" " ივნის " 2020.

### გადაწყვეტილება

საქაპილი იურიდიკული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და აურიცხული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების, სამსახურის სტრუქტურის დამტკიცებისა და კულევის განხორციელების შესახებ

აურიცხული დახმარების შესახებ „საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პ", „დ" და „პ" კუპლინების მოთხოვნათა შესაბამისად.

### გადაწყვეტა:

1. ცეტერიცდეს საქაპილი იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები (დანართი N1) და მისი მოქმედების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 31 მარტი;
2. დაცვალის სასიპილი იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის სასიპილი იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების შესრულებაზე ზედამხედველობა და აურიცხული დახმარების საბჭოსთვის მისი იმპლემენტაციის 8 თვეს ანგარიშის წარდგენა პრატიკის 2021 წლის 31 მარტისა;
3. სასიპილი იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების საჯუძველზე განხორციელდეს ადვოკატებისა და კონსულტანტების იმ საქმეების შეფასება, რომლებიც ადვოკატის, კონსულტანტის მიერ წარმოებაში ჩიღებულ იქნა წისტადებარე ადასტუდენტილების ძალაში შესვლის შემდგომ;
4. დატრიალდეს სასიპილი იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურისა და მის მიზნის მიერ წარმოდგენილი სამსახურის განვითარებისა და რეფორმირების პროექტის შექამატისად (დანართი 2) და ამ მიზნით განხორციელდეს სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების, მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლა და ანალიზი;

5. დაევალოს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, რომ განახორციელოს იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა კმაყოფილების კვლევა, იურიდიული დახმარებისა და იურიდიული კონსულტაციის ხარისხის შესწავლის მიზნით;
6. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს  
თავმჯდომარე:

რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

ზაზა ხარებავა

თამარ გვარამაძე

პავლე აბაიაძე

ირაკლი გვარამაძე

ბექა ძამაშვილი

ესმა ნორავია

სოფო ჩაჩავა

თეა ჭეიშვილი

ბაქტიორ ბეჭავა

დანართი N1

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული  
კონულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების

წესი და კრიტერიუმები



იურიდიული განვითარების  
სამსახური

## ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების ვალდებულება

1. უფლება უფასო სამართლებრივ დახმარებაზე
2. სამართლებრივი მომახურეობის ხარისხის შეფასების ვალდებულება

თავი II. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების პრინციპები

- (1) ადვოკატის დამოუკიდებლობა
- (2) პროფესიული საიდუმლოების დაცვა (კონფიდენციალური ინფორმაციის გამქლავნების დაუშვებლობა)
- (3) პირადი ცხოვრების (პერსონალური მონაცემების) დაცვა

თავი III. იურიდიული კონსულტაციისა დ იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების ფარგლები

თავი IV. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის სტანდარტები

1. ადვოკატის როლი და დანიშნულება
2. საზოგადოებრივი ადვოკატის საქმიანობის პრინციპები
3. პროფესიული ცოდნა
4. პრაქტიკული საქმიანობა
  - 4.1. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) საქმის მასალების გაცნობა, საქმის გასაცნობად საკმარისი დროის დათმობა და სათანადოდ მომზადება
  - 4.2. ბენეფიციართან სათანადო კომუნიკაცია
  - 4.3. ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
  - 4.4. ბენეფიციარისათვის უფლებების განმარტება
  - 4.5. ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორცელება
  - 4.6. სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ ორგანოში/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში დროულად გამოცხადება
5. პრაქტიკული უნარები

თავი V. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები

1. პროფესიული კომპეტენცია
2. პრაქტიკული კომპეტენცია
3. პროფესიული უნარები

თავი VI. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი

1. ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი
2. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (Case-bank)
3. ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა
4. სასამართლო პროცესზე დასწრება
5. მხარდამჭერთა ჯგუფი
6. იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი

თავი VII. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასების უფლებამოსილება და პროცედურა

1. საქმეების შერჩევა
2. მომსახურეობის ხარისხის შეფასება
3. რეკომენდაციით/დასკვნის მომზადება
4. რეკომენდაციის შედეგები და გადახედვა

## თავი I.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების ვალდებულება

### 1. უფლება უფასო სამართლებრივ დახმარებაზე

საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და სხვა საერთაშორისო აქტები აღიარებენ და განამტკიცებენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება საჭიროებს მათი დაცვის საშუალებებზე ეფექტური წვდომის არსებობას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეს საშუალებები ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის განურჩევლად პირთა სტატუსის, ფინანსური მდგომარეობისა და სხვა ფაქტორებისა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (Běleš and Others v. the Czech Republic; Naït-Liman v. Switzerland) თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მოითხოვს, რომ მოდავე მხარეს ჰქონდეს ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ სამოქალაქო უფლებების განხორციელებას.

სამოქალაქო უფლებების განხორციელება გულისხმობს საზოგადოებრივი მართლწესრიგის განსაზღვრაში ფართო საზოგადოების ჩართულობას, რაც არის კანონის უზენაესობაზე დამყარებული დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, უფასოდ, სახელმწიფოს ხარჯზე სამსართლებრივი დახმარების მიღების უფლება, დადგენილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტით, არაერთი სხვა საერთაშორისო აქტით და ასევე შიდა კანონმდებლობით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) მე-3 პუნქტის თანახმად, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი

უფლებები: გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმი, სრული თანასწორობის საფუძველზე, მიიღოს შემდეგი გარანტიები: დ) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის საშუალებით; თუ არ ჰყავს დამცველი, შეატყობინოს ასეთი უფლების შესახებ და ჰყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ყველა შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, რიგ შემთხვევებში უსასყიდლოდ როცა არა აქვს დამცველის ასანაზღაურებლად საკმარისი სახსრები;

ადვოკატთა როლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებში ნათქვამია, რომ ადამიანის ისეთი ფუნდამენტალური უფლებებისა და თავისუფლებების ადეკვატური დაცვა, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ან სამოქალაქო კულტურული უფლებები, რაც ყველა ადამიანის პრეროგატივაა, მოითხოვს, რომ ყველა და პოლიტიკური უფლებები, რაც ყველა ადამიანის პრეროგატივაა, მოითხოვს, რომელსაც დამოუკიდებელი იურიდიული პროფესია ითვალისწინებს.

## 2. სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების ვალდებულება

უფასო სამართლებრივი დახმარების უფლება, თავის თავში მოიცავს, ეფექტურ და კვალიფიციურ იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უფლების არსებობა აზრს მოკლებულია.

უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში, კვალიფიციური და მაღალი ხარისხის უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში, კვალიფიციური და მაღალი ხარისხის სამართლებრივი მომსახურეობის მიწოდების ვალდებულება დადგენილია, როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე, საერთაშორისო აქტებით.

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება, ამ კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს თანმიმდევრული კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციითა და იურიდიული დახმარებით და კანონმდებლობით, ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის სახელმწიფოს ხარჯზე. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის სახარების დასჭირების ფარდგინებით ამტკიცებს სამსახურის მიერ გაწეული თანახმად, საბჭო დირექტორის წარდგინებით და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, კონვენცია დაცვის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, კონვენცია

პრაქტიკულად და ეფექტურად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Sakhnovskiy v. Russia), ადვოკატის მხოლოდ დანიშვნა მხარისათვის არ უზრუნველყოფს ეფექტურ დახმარებას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Kaminski v. Austria, R.D. v. Poland) და იურიდიული დახმარების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს გარანტიებს, რათა გამოირიცხოს თვითნებობა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Gnahoré v. France).

სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირებისთვის იურიდიული დახმარების უფლების შესახებ ევრო კომისიის 2013 წლის 27 ნოემბრის რეკომენდაციის მე-3 ნაწილის თანახმად, უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში მიწოდებული სამართლებრივი დახმარება, უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის სამართლიანობა. იურიდიული დახმარების ხარისხის უზრუნველსაყოფად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისი სისტემა.

ევრო პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2016 წლის 26 ოქტომბრის #2016/1919 დირექტივის მე-7 მუხლის (იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხი და ტრენინგები) პირველი პუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ: .... ა) არსებობდეს ეფექტური იურიდიული დახმარების სისტემა, რომელიც არის ადეკვატური ხარისხის; და ბ) იურიდიული დახმარების მომსახურეობა, იყოს სათანადო ხარისხის, რათა გარანტირებულ იქნეს პროცესის სამართლიანობა, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის სათანადო დაცვის ფარგლებში.

გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესების (იურიდიული დახმარების სფეროში სისხლის სამართალში) მე-13 პრინციპის (იურიდიული დახმარების პროვაიდერების კომპეტენცია და ანგარიშვალდებულება) თანახმად, 37. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა იურიდიული დახმარების პროვაიდერს ჰქონდეს განათლება, ტრენინგები, უნარები და გამოცდილება, რომელიც შეესაბამება მათი საქმიანობის ბუნებას.

შესაბამისად, შიდა კანონმდებლობა, სავალდებულო თუ სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო აქტები ითვალისწინებენ სამართლებრივი მომსახურეობის ხარისხის შეფასების სისტემის შექმნის საჭიროებას, რათა უფლება, უფასო სამართლებრივი დახმარებაზე იყოს ეფექტური და რეალური.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტი ადგენს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების (შემდგომში ერთობლივად „სამართლებრივი მომსახურეობის“) ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირების მიერ (შემდგომში „ბენეფიციარი“) ეფექტური და რეალური სამართვებრივი დახმარების მიღებას. წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი

შეფასების წესი და კრიტერიუმები ვრცელდება საზოგადოებრივ ადვოკატებსა (შემდგომში "ადვოკატი") და კონსულტანტებზე.

## თავი II.

### სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების პრინციპები

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური, იურიდიულ დახმარებას ახორციელებს საზოგადოებრივი ადვოკატების მეშვეობით. ადვოკატის საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით, სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები ეფუძნება:

- ადვოკატის დამოუკიდებლობის,
- პროფესიული საიდუმლოების დაცვისა და,
- პირადი ცხოვრების (პერსონალური მონაცემების) დაცვის პრინციპებს.

#### (1) ადვოკატის დამოუკიდებლობა

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, (მუხლი 2(დ) და 16.4) საზოგადოებრივი ადვოკატი არის იურიდიული დახმარების ბიუროს, იურიდიული დახმარების მიმწოდებლის ან რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატი, რომელიც ამ კანონის საფუძველზე ახორციელებს იურიდიულ დახმარებას. იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონით, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით, სამსახურის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია ადვოკატთა ასოციაციაში.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, ადვოკატის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ადვოკატზე სახელმწიფო ორგანოს ან/და სხვა პირის არასათანადო ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროება, იძულება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან/და მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა.

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის 21<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი ადვოკატი საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად. დაუშვებელია საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე მის მიმართ სანქციის გამოყენება ან სანქციის გამოყენების მუქარა იმ საქმიანობის გამო, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ადვოკატთა ეთიკის კოდექსს.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია და ემსახურება კლიენტის ინტერესების ეფექტურად დაცვასა და რეალიზაციას. ადვოკატის დამოუკიდებლობა იცავს ადვოკატს თავისი ვალდებულებების შესრულებისას ყოველგვარი გარე ზეწოლისა და ჩარევისაგან და უზრუნველყოფს, რომ ადვოკატმა ყველა გადაწყვეტილების მიღებისას იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ადვოკატის დამოუკიდებლობა, როგორც შიდა ისე საერთაშორისო აქტებით დაცვის მაღალ სტანდარტს ექვემდებარება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობა არის გადამწყვეტი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. როდესაც ხდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეფასება იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატის ქმედებებზე, სასამართლომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დამოუკიდებლობის გარანტიებს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - SIAŁKOWSKA v. POLAND).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში - Sialkowska v. Poland, მიუთითა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, რომ უზრუნველყოს სათანადო ბალანსი ერთის მხრივ, სასამართლოსადმი ხელმისაწყდომობის უფლებას და მეორეს მხრივ, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში - Sialkowska v. Poland, Artico v. Italy, Daud v. Portugal , Tuziński v. Poland , Rutkowski v. Poland, ასევე აღნიშნულია, რომ ადვოკატი, თუნდაც ოფიციალურად დანიშნული არ შეიძლება იქნეს განხილული როგორც სახელმწიფო ორგანო. ... უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატის ქმედებების გამო, არ შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი კონვენციიდან გამომდინარე, გარდა განსაკუთრებით გამონაკლისი შემთხვევებისა.

ადვოკატის დამოუკიდებლობას ეხება ასევე ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა, რომლის თანახმადაც, მოსამართლეები და ადვოკატები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები თავიანთი მოვალეობების შესრულების დროს, და ასევე უნდა ჩანდნენ რომ არიან დამოუკიდებლები ერთმანეთისაგან. CCJE განიხილავს ამ დამოუკიდებლობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მართლმსაჯულების სისტემის სათანადო ფუნქციონირებისათვის (ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა #16 მოსამართლეთა და ადვოკატთა ურთიერთობის შესახებ (Opinion No. (2013) 16 On the relations

between Judges and Lawyers adopted at the 14<sup>th</sup> plenary meeting of the CCJE (Strasbourg, 13-15 November 2013);

ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის რეკომენდაცია ერთმანეთთან ათანაბრებს ადვოკატისა და მოსამართლის დამოუკიდებლობას და აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უნდა იქნეს გარანტირებული შესაძლო ყველაზე მაღალ დონეზე. ადვოკატის დამოუკიდებლობა უნდა იქნეს გარანტირებული იმავე წესით (ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის რეკომენდაციის მე-7 პუნქტის თანახმად (Recommendation CM/Rec (2010)12);

ასევე, გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების (იურიდიული დახმარების სფეროში სისხლის სამართალში) მე-12 პრინციპის (იურიდიული დახმარების პროვაიდერების დამოუკიდებლობა და დაცვა) თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ იურიდიული დახმარების პროვაიდერებს ჰქონდეთ უფლება, რომ თავიათი საქმიანობა განახორციელონ ეფექტურად, თავისუფლად და დამოუკიდებლად. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რომ იურიდიული დახმარების პროვაიდერებს ჰქონდეთ სამუალება თავიანთი პროფესიული ვალდებულებები შეასრულონ ყოველგვარი დაშინების, შეფერხების, შევიწროვების ან არასათანადო ჩარევის გარეშე.

ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის რეკომენდაციის (ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლად განხორციელების შესახებ, Recommendation Rec(2000)21 of the Council of Europe's Committee of Ministers to member States on the freedom of exercise of the profession of lawyer (adopted on 25 October 2000) თანახმად, (პრინციპი I - ზოგადი პრინციპები ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ), 1. ყველა აუცილებელი ზომა უნდა იქნეს მიღებული, იმისათვის, რომ მოხდეს პატივისცემა, დაცვა და ხელის შეწყობა ადვოკატის პროფესიის თავისუფლად განხორციელებისათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის და ხელისუფლების ან საზოგადოების მხრიდან არასათანადო ჩარევის გარეშე, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებების ჭრილში.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) 2008 წელს მიღებული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიისა და ევროპელი იურისტებისათვის ქცევის კოდექსის ("Charter of Core Principles of the European Legal Profession and Code of Conduct for European Lawyers", The Council of Bars and Law Societies of Europe (CCBE)), ბ. პრინციპის თანახმად, (ა), ადვოკატის დამოუკიდებლობა და ადვოკატის თავისუფლება არის კლიენტის საქმის წარმართვა. CCBE-ს კომენტარებში მითითებულია, რომ ადვოკატი უნდა იყოს დამოუკიდებელი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ინტელექტუალურად.

შესაბამისად, ადვოკატის დამოუკიდებლობა არის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები.

## (2) პროფესიული საიდუმლოების დაცვა (კონფიდენციალური ინფორმაციის გამუღავნების დაუშვებლობა)

პროფესიული საიდუმლოების დაცვა უზრუნველყოფს, ადვოკატსა და ბენეფიციარს შორის ნდობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. რაც ბენეფიციარის უფლებების ეფექტური დაცვის წინაპირობაა.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა.

ადვოკატთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება.

ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, ადვოკატი ვალდებულია: ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გამუღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია);

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (Michaud v. France) თანახმად, ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაცია, მიუხედავად მიზნებისა, მათ შორის მკაცრად პროფესიული ხასიათის, სარგებლობს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. პრინციპი რომელიც იცავს ინდივიდთა შორის ყველა სახის კომუნიკაციას, ითვალისწინებს ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის გაძლიერებულ დაცვას. ეს გამართლებულია იმით, რომ ადვოკატს დემოკრატიულ საზოგადოებაში აქვს განსაკუთრებული როლი, რაც არის მოდავე მხარის დაცვა. ადვოკატები ვერ განახორციელებენ ამ უმნიშვნელოვანეს როლს, თუ მათ არ ექნებათ გარანტიები, რომ ინფორმაციის გაცვლა დარჩეს კონფიდენციალური.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში - Campbell v. The United Kingdom ასევე მიუთითა, რომ ზოგადი ინტერესიდან გამომდინარე ნათელია, რომ ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს ადვოკატთან კონსულტაციის სურვილი, უნდა იყოს თავისუფალი, რათა ეს განახორციელოს ისეთ პირობებში, რომლებიც იძლევა სრული და შეუზღუდავი დისკუსიის საშუალებას. სწორედ ამ მიზეზიდან გამომდინარე, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა არის კონფიდენციალური.

## (3) პირადი ცხოვრების (პერსონალური მონაცემების) დაცვა

ადვოკატის მიერ ბენეფიციარის საქმის წარმართვა დაკავშირებულია ბენეფიციარის პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული მონაცემების დამუშავებასთან. ამასთან, ადვოკატს აქვს ვალდებულება დაიცვას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენცია და პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვისა და მათი დამუშავების წესებს.

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, წინამდებარე კონვენციის მიზანს წარმოადგენს თითოეული პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფა ხელშეკრულების ყოველი მხარის ტერიტორიაზე, მათი ეროვნებისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. კერძოდ, კი კონფიდენციალობის დაცვის უფლების უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას, რომელიც მოცემულ პიროვნებას შეეხება (მონაცემთა დაცვა).

პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებაში - Altay v. Turkey (No 2) მიუთითებს, რომ პირადი ცხოვრების სფეროში ხვდება პირის კომუნიკაცია ადვოკატთან, რომელიც დანიშნულია უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში, ვინაიდან მსგავსი ურთიერთობის მიზანი არის ინდივიდის მიერ მის ცხოვრებასთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება. ... უფრო ხშირად ვიდრე იშვიათად, ადვოკატისათვის გადაცემული ინფორმაცია მოიცავს პირად და ინტიმურ ან სენსიტიურ საკითხებს. შესაბამისად, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებისას თუ ზოგადად კონსულტაციისას, პირს, ვინც მიმართავს ადვოკატს აქვს გონივრული მოლოდინი რომ კომუნიკაცია არის პირადი და კონფიდენციალური. ... ეს პრინციპები ვრცელდება ზეპირ, პირისპირ კომუნიკაციაზე. ადვოკატთან როგორც ზეპირი კომუნიკისას ისე მიმოწერისას კომუნიკაცია არის დაცული კონვენციის მე-8 მუხლით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში - Satakunnan Markkinapori Oy and Satamedia Oy v. Finland ასევე აღნიშნა, რომ პირის პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციის შენახვა ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის სფეროში. ... პერსონალური ინფორმაციის დაცვა არის ფუნდამენტური მნიშვნელობის რათა პირმა ისარგებლოს კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებით. წევრმა სახელმწფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებულ მონაცემების ისეთი გამოყენება, რომელიც შეუსაბამოა ამ მუხლის მოთხოვნებთან

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე წესი და კრიტერიუმები ეფუძნება ადვოკატის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის წარმომადგენლის დამოუკიდებლობის, ასევე პროფესიული საიდუმლოებისა და პირადი ცხოვრების დაცვის პრინციპებს და მათი გათვალისწინებით ადგენენ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს.

### თავი III.

#### იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების ფარგლები

იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის პრინციპი, რომელიც მოქალაქეთა უფლებების დაცვის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს, ადვოკატის მიერ შეთავაზებულ და მხარესთან შეთანხმებულ (მხარის მიერ არჩეულ) სტრატეგიაში ჩარევას დაუშვებლად მიიჩნევს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში - Kamasinski v. Austria აღნიშნა, რომ იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობს ის, რომ დაცვის წარმართვა არის მხარისა და მისი წარმომადგენლის საქმე, მიუხედავად იმისა წარმომადგენელი დანიშნულია იურიდიული დახმარების ფარგლებში თუ არა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში - Sialkowska v. Poland, ასევე აღნიშნულია, რომ არავის, მათ შორის არც სახელმწიფოს თუ მის რომელიმე ორგანოს არ აქვს უფლება დაავალდებულოს ადვოკატი, იქნება ეს იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული თუ არა, რომ მან საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მოახდინოს პროცესის ინიცირება ან განახორციელოს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებები. სახელმწიფოსათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება ზიანს მიაყენებს დემოკრატიულ სახელმწიფოში იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის როლს, რომელიც ეფუძნება ადვოკატისა და კლიენტის ნდობას.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი ადგენს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს, ადვოკატის მიერ შეთავაზებულ და მხარესთან შეთანხმებულ (მხარის მიერ არჩეულ) სტრატეგიაში ჩარევის გარეშე.

### თავი IV.

#### სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის სტანდარტები

იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასება გულისხმობს ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურეობის შესაბამისობის დადგენას წინამდებარე თავით დადგენილ სტანდარტებთან.

## 1. ადვოკატის როლი და დანიშნულება

ადვოკატის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალიან დიდი და მრავლისმომცველია. ადვოკატის ვალდებულება მხოლოდ მარწმუნებლის წარმომადგენლობით არ შემოიფარგლება და იგი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. კერძოდ, მარწმუნებლის, მართლმსაჯულების სისტემის, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და თავად საზოგადოების მიმართ ვალდებულებებს.

ევროკავშირის იურისტთა ქცევის კოდექსის (Code of Conduct for European Lawyers), პრეამბულის თანახმად, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ადვოკატს აკისრია განსაკუთრებული როლი. ადვოკატი უნდა ემსახურებოდეს მართლმსაჯულების ინტერესებს ... ადვოკატს აქვს ვალდებულება მარწმუნებლის, სასამართლოს, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების და საზოგადოების წინაშე, რომელთათვისაც თავისუფალი და დამოუკიდებელი პროფესიის არსებობა არის ფუნდამენტური რათა დაცულ იქნეს ადამიანის უფლებები სახელმწიფოს ძალაუფლებისა და საზოგადოების სხვა ინტერესებისაგან.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიის კომენტარების მე-6 პუნქტის თანახმად, ადვოკატის როლი, რომელიც ასრულებს ფიზიკურ პირის, კორპორაციის თუ სახელმწიფოს დავალებას, მდგომარეობს შემდეგში: იყოს კლიენტის სანდო მრჩეველი და წარმომადგენელი, პროფესიონალი, რომელსაც პატივს სცემს მესამე მხარე და სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების შეუცვლელი მონაწილე. ყველა ზემოაღნიშნული ელემენტის გაერთიანებით, ადვოკატი, რომელიც ერთგულად ემსახურება საკუთარი კლიენტის ინტერესებს და იცავს კლიენტის უფლებებს, ასევე ასრულებს ადვოკატის ფუნქციებს საზოგადოებაში, რაც მდგომარეობს კონფლიქტების თავიდან აცილებაში, სამოქალაქო, საჯარო ან სისხლის სამართლის აღიარებული პრინციპების შესაბამისად და ასევე, უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით კონფლიქტების მოგვარებაში, კანონის შემდგომ განვითარებაში, თავისუფლების, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის დაცვაში.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს CCBE-ს ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიის პრინციპების შესაბამისად, ადვოკატის სპეციალური სტატუსი ანიჭებს მათ ცენტრალურ ადგილს მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავალს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის. სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების გარანტორები, რომელთა დანიშნულება მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოში, უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების მხრიდან ნდობით. ამ სფეროში ადვოკატის მნიშვნელოვანი როლიდან

გამომდინარე, ლეგიტიმურია მოლოდინი იმისა, რომ ადვოკატმა წვლილი შეიტანოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებაში და შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა.

მოსამართლებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ 2013 წლის 15 ნოემბრის ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #16 დასკვნის, თანახმად, კანონის უზენაესობის და ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოთხოვნების გათვალისწინებაა. როგორც მოსამართლები, ასევე ადვოკატები უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზემოაღნიშნული მიზნების ეფექტურად შესრულების საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირველესად, ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენს ბენეფიციარის უფლებების ეფექტურად დაცვა. ადვოკატი ყოველთვის უნდა მოქმედებდეს ბენეფიციარის ინტერესების სასარგებლოდ და უნდა მიმართოს ყველა კანონიერ საშუალებას ბენეფიციარის უფლებების დაცვისა და რეალიზაციისათვის.

ამასთან, ადვოკატს განსაკუთრებული როლი აქვს მართლმსაჯულების განხორციელებაშიც და ეს როლი მან უნდა შეასრულოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის რწმენითა და პატივისცემით. ადვოკატი უნდა იღვწოდეს, რომ თავისი კვალი დატოვოს კვალიფიციური მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაში.

მართლმსაჯულების განხორციელება მოსამართლის უფლებამოსილებაა, თუმცა მართლმსაჯულების ხარისხი მხოლოდ მოსამართლის საქმიანობით არ განისაზღვრება.

მოსამართლები და ადვოკატები სხვადასხვა როლს თამაშობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში, მაგრამ ორივე პროფესიის წვლილი აუცილებელია, რათა კანონის მოთხოვნების დაცვით სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება იყოს მიღებული თითოეულ საქმესთან დაკავშირებით.

მხარეთა სათანადო წარმომადგენლობის გარეშე მართლმსაჯულების დანიშნულება ვერ მიიღწევა. მოსამართლე შებოჭილია იმ მოთხოვნითა და მტკიცებულებებით, რომლებსაც მხარები წარმომადგენენ და სწორედ მათ საფუძველზე წარმართავს საქმეს და განსაზღვრავს დავის შედეგს. შესაბამისად, სათანადო წარმომადგენლობის გარეშე კანონიერება და სამართლიანობა ვერ აღსრულდება.

სასამართლოში საქმის წარმოებისას ადვოკატი უნდა ცდილობდეს გარკვეულწილად "გააუმჯობესოს კანონი". ადვოკატი მის ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდება იმ პრობლემებს, რომლებსაც კანონის ჩანაწერი ან პრაქტიკაში მისი არასწორი გამოყენება ქმნის. ადვოკატის ვალდებულებაა ეს პრობლემა მიიტანოს სასამართლოს თვალთახედვამდე და შეეცადოს კანონი მოქმედებაში - პრაქტიკული გადასახედიდან დაანახოს სასამართლოს და დაეხმაროს მას

კანონის სწორად განმარტებაში და ზოგ შემთხვევაში თავად "კანონის გაკეთილშობილებასა და გაახალგაზრდავებაში".

ამ მხრივ, ადვოკატი, არის სოციალური ცვლილების კატალიზატორი. ადვოკატის მოსაზრებები და კანონის ახლებური ინტერპრეტაცია არც თუ იშვიათად აისახება სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ადვოკატს აქვს უნარი მხარეთა შორის არსებული დავა წარმოაჩინოს განსხვავებული კუთხით, ამით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი პროცესების ინიცირებას და თავისი ხედვა აქციოს პრეცედენტად და მომავალი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საფუძვლად.

ადვოკატის როლი მართლმსაჯულების წინაშე წარმოჩინდება ასევე ადვოკატის პასუხისმგებლობაში არ დაუკარგოს ბენეფიციარს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობა.

პირი, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ კონსულტაციასა და დახმარებას, გარკვეულწილად თავს გრძნობს დაუცველ მდგომარეობაში და ამ მდგომარეობიდან გამომდინარე მას ადვოკატის მიმართ განსაკუთრებული ნდობა და დამოკიდებულება უყალიბდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მარწმუნებლის მიერ განსაკუთრებული სენსიტიურობით აღიქმება. ადვოკატმა ეს ნდობა არ უნდა გამოიყენოს არაკეთილსინდისიერად.

ადვოკატს განსაკუთრებული როლი აქვს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირებაში და საზოგადოებრივი აზრის განვითარებასა და საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებაში. მოქალაქეები ადვოკატს მიმართავენ არა მხოლოდ სასამართლოში წარმომადგენლობისათვის, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთმანეთს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ადვოკატი, რა თქმა უნდა მოქმედებს მარწმუნებლის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მან არ უნდა წაახალისოს არაეთიკური, დისკრიმინაციული, უსამართლო ქმედებები, პირიქით იგი უნდა იყოს მოწოდებული რომ თითოეული იურიდიული რჩევა ემსახურებოდეს საზოგადოების წევრთა შორის კანონიერი, სამართლიანი, თანასწორი და კეთილსინდისიერი ურთიერთობების განვითარებას.

ადვოკატს აქვს ვალდებულება წაახალისოს დავების გადაწყვეტის მშვიდობიანი საშუალებები. მოსამართლებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ 2013 წლის 15 ნოემბრის ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #16 დასკვნის, თანახმად, მოსამართლებმა და ადვოკატებმა უნდა ითანამშრომლონ საქმის მორიგების გზით გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ადვოკატის ვალდებულება იურიდიული პროფესიის მიმართ გამოიხატება მის მისწარფებასა და ქმედებებში გააუმჯობესოს თავად იურიდიული პროფესიის მიერ მიწოდებული მომსახურეობის ხარისხი. ადვოკატმა ასევე უნდა გამოიყენოს თავისი ცოდნა სამართლებრივი

განათლების გამლიერების საქმეში და იგი უნდა დაეხმაროს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს რომ განუხრელად მისდიონ პროფესიულ მიზნებს.

ადვოკატთა როლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპების მე-12 პრინციპი ადგენს, რომ ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების პასუხისმგებელი წარმომადგენელი, ვალდებულია ნებისმიერ დროს დაიცვას საკუთარი პროფესიისადმი პატივისცემა და ღირსება.

## 2. საზოგადოებრივი ადვოკატის საქმიანობის პრინციპები

საზოგადოებრივი ადვოკატის (კონსულტანტის) საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება, სამართლის უზენაესობა, მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება, პროფესიული კომპეტენტურობა, ადვოკატის კეთილსინდისიერება, იურიდიული პროფესიის პატივისცემა, საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ადვოკატთა თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა, ბენეფიციარის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა, ბენეფიციარის ინტერესების უპირატესობა, ბენეფიციარის პირადი ცხოვრების პატივისცემა, ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

## 3. პროფესიული ცოდნა

ადვოკატი ვალდებულია იცოდეს შესაბამისი დარგის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა საერთაშორისო აქტები. ადვოკატს ასევე უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საკანონდებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. ადვოკატი ვალდებულია ყოველდღიურად ცდილობდეს აიმაღლოს პროფესიული ცოდნა და პვალიფიკაცია.

ადვოკატის მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას ხაზს უსვამს არაერთი საერთაშორისო აქტი.

ევროპელ ადვოკატთა ქცევის კოდექსის 5.8 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს და განავითარის მისი ცოდნა და უნარები, თავიანთი პროფესიის ევროპული განზომილების სწორად გათვალისწინებით.

მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ 2013 წლის 15 ნოემბრის ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #16 დასკვნის, თანახმად, საპროცესო წესები სამართლებრივი დავების მოგვარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. საპროცესო

წესების მიხედვით განისაზღვრება ... ადვოკატთა შესაბამისი როლი. აუცილებელია, რომ ... ადვოკატებმა კარგად იცოდნენ აღნიშნული წესები, საქმის სამართლიანად და დროულად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე.

2006 წლის 25 ნოემბერის ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) ევროპაში იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტის "ზ" პრინციპის (ადვოკატის პროფესიული კომპეტენცია) თანახმად, თავისთავად ცხადია, რომ ადვოკატი ვერ გაუწევს კონსულტაციას კლიენტს და ვერ დაიცავს მის ინტერესებს, თუ მას არ აქვს შესაფერისი პროფესიული განათლება. ბოლო ხანებში, კვალიფიციური სპეციალისტების პროფესიულმა გადამზადებამ (უწყვეტი/განგრძობადი პროფესიული განვითარება), ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებების სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, კანონსა და საადვოკატო პრაქტიკაში მზარდი მნიშვნელობა შეიძინა. პროფესიული რეგულაციები ძალიან ხშირად ხაზს უსვამენ, რომ ადვოკატს ეკრძალება იმ საქმეზე მუშაობა, რომლის საწარმოებლადაც მას საკმარისი კომპეტენცია არ გააჩნია.

ევროპელი ადვოკატების ქცევის კოდექსის 3.2.1.-ე მუხლის თანახმად, ადვოკატმა არ უნდა წარმართოს საქმე, რომელზეც ადვოკატმა იცის ან უნდა იცოდეს რომ არ აქვს კომპეტენცია, იმ ადვოკატთან კომუნიკაციის გარეშე ვისაც აქვს კომპეტენცია.

პროფესიული კვალიფიკაცია მოიცავს საერთაშორისო კონვენციებისა და სხვა აქტების, მათ შორის საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის ცოდნის ვალდებულებასაც.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ კონვენციას შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ანუ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე დაეყრდნოს ევროპული კონვენციის დებულებებს და მის საფუძველზე ამტკიცოს ადამიანის უფლებათა დარღვევა (ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, კორკელია კონსტანტინე, 2007). შესაბამისად, საზოგადოებრივი ადვოკატებიც ვალდებული არიან იცოდნენ და გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

კონვენციის ავთენტურ და ავტორიტეტულ განმარტებას იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი... სწორედ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და კონვენციის ნორმათა შეფასებები იძლევა ... სამართლებრივი დეფინიციების სწორად აღქმის, გააზრებისა და შემდგომ შეფარდების შესაძლებლობას (საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წ. ნანა მჭედლიძე, გვ. 10; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე no. 2/13664-15).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ადვოკატისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ცოდნაც.

#### 4. პრაქტიკული საქმიანობა

**4.1. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) საქმის მასალების გაცნობა, საქმის გასაცნობად საკმარისი დროის დათმობა და სათანადოდ მომზადება**

**4.1.1. იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების განხორციელებისას ადვოკატი ბენეფიციართან შეხვედრამდე, უცნობა საქმის მასალებს და საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;**

საქმის მასალების გაცნობა მნიშვნელოვანია ბენეფიციარის ეფექტური დახმარებისათვის.

საჭიროების შემთხვევაში და დროის რესურსიდან გამომდინარე, ადვოკატი ეცნობა საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკას, დოქტრინაში არსებულ მიდგომებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტებს.

გარკვეულ გარემოებებში, ობიექტური მიზეზების გამო, შესაძლებელია ადვოკატის კომუნიკაცია ბენეფიციართან საქმის მასლების გაცნობის გარეშე. თუმცა, ადვოკატი ვალდებულია ბენეფიციარისაგან ინფორმაციის მიღების შემდგომ, ქმედებების განხორციელებამდე, სასამართლო პროცესზე წარმომადგენლობამდე/საგამომიებო, საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობამდე გაეცნოს საქმის მასალებს და შეხვდეს და შეათანხმოს ბენეფიციართან შემდგომი მოქმედებები.

**4.1.1.1. კონსულტანტი ვალდებულია კონსულტაციის გაცემამდე გაუცნოს ბენეფიციარის მიერ მიწოდებულ მასალებს, თუ ბენეფიციარს კონსულტაციის მიღებისას თან აქვს მასალები.**

სატელეფონო ან ონლაინ კონსულტაციისას, ასევე თუ ბენეფიციარს თან არ აქვს სამართლებრივი კონსულტაციის მისაღებად საჭირო მასალები, კონსულტანტი გასცემს სამართლებრივ კონსულტაციას ბენეფიციარის მიერ ზეპირად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, სამართლებრივი საკითხის სპეციფიკის გათვალისწიბენით, ბენეფიციარს განუმარტავს, რომ შესაბამისი მასალების გაცნობა აუცილებელია საკითხში გარკვევისა და სათანადო კონსულტაციისათვის.

**4.1.2. ადვოკატი ვალდებულია საკმარისი დრო დაუთმოს საქმის მასალების გაცნობას.**

ადვოკატმა საქმის მასალების გასაცნობად დროის რესურსის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიაქციოს საპროცესო მოქმედებამდე დარჩენილ დროს, საქმის სირთულეს, ბრალდების სიმძიმეს და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Daud v. Portugal).

**4.1.2.1. კონსულტანტი ვალდებულია, კონსულტაციის გადებამდე სათანადო დრო დაუთმოს ბენეფიციარის მიერ მიწოდებული მასალების გაცნობას.**

**4.1.3. თუ ადვოკატი, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ახერხებს საქმის მასალების გაცნობას მაშინ იგი ვალდებულია მოითხოვოს საქმის/პროცესის გადადება, დრო საქმის მასალების გასაცნობად ან მიმართოს კანონით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებას.**

საქმის მასალების გაცნობის გარეშე სასამართლო პროცესზე, პროცესის მწარმოებელ ორგანოებში და ნებისმიერ სხვა ორგანოში წარმომადგენლობა არის აშკარა ხარვეზი და ვერ უზრუველყოფს ბენეფიციარის უფლებების ეფექტურ დაცვას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Sannino v. Italy). შესაბამისად, ადვოკატმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში ან საგამომიებო/საპროცესო მოქმედებებში თუ ის არ იცნობს საქმის არსს და მასალებს.

## 4.2. ბენეფიციართან სათანადო კომუნიკაცია

**4.2.1. საზოგადოებრივი ადვოკატი ვალდებულია შეხვდეს ბენეფიციარს და მთელი წარმომადგენლობის განმავლობაში ჰქონდეს მასთან კომუნიკაცია.**

ადვოკატსა და ბენეფიციარს შორის სათანადო კომუნიკაცია აუცილებელია ბენეფიციარის უფლებების ეფექტურად დასაცავად, საქმის სტრატეგიის განსაზღვრისა და ადვოკატსა და ბენეფიციარს შორის ნდობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის.

ადვოკატის შეხვედრა კლიენტთან სასამართლო პროცესის დაწყებამდე დროის მცირე მონაკვეთით ვერ უზრუველყოფს ბენეფიციარის უფლებების ეფექტურად დაცვას (Sakhnovskiy v. Russia). შესაბამისად, ადვოკატს ბენეფიციართან უნდა ჰქონდეს კომუნიკაცია გონივრული ვადით.

ადვოკატი საქმის მისთვის გადაცემისთანავე ან საქმის თავისებურებების გათვალისწინებით მისი გადაცემიდან გონივრულ ვადაში ვალდებულია შეხვდეს ბენეფიციარს და წარმომადგენლობის დასრულებამდე ჰქონდეს მასთან შემდგომი კომუნიკაცია.

სათანადო კომუნიკაცია არ გულისხმობს ბენეფიციართან გარკვეული პერიოდულობით შეხვედრის ვალდებულებას, თუ საქმის განვითარება არ იძლევა ამის საჭიროებას, თუმცა

ბენეფიციარს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სულ მცირე იმ საკითხზე, თუ როდის უნდა ელოდოს ის ადვოკატის კომუნიკაციას.

იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც არ ხდება ბენეფიციარის ინტერესების შელახვა, კომუნიკაციის არაგონივრულმა დაგვიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბენეფიციარის უსაფუძვლო აღელვება და ამან საფრთხის ქვეშ დააყენოს ადვოკატისა და ბენეფიციარს შორის ნდობა (In Re Smith, 659 N.E.2d 896 (Ill. 1995), Illinois Supreme Court).

ადვოკატი ვალდებულია საქმის განვითარების შესაბამისად, როგორც წესი სასამართლო პროცესამდე ან საპროცესო ღონისძიებების განხორციელებამდე შეხვდეს ბენეფიციარს. ბენეფიციართან შეხვედრა სავალდებულოა თუ სასამართლო პროცესამდე ან სხვა საპროცესო ღონისძიებების განხორციელებამდე შეიცვალა საქმესთან დაკავშირებული ვითარება.

#### 4.3. ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

**4.3.1. ადვოკატი ვალდებულია დროულად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიაწოდოს ბენეფიციარს საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია იმ ფარგლებში, რაც საჭიროა ბენეფიციარის მიერ მის საქმესთან დაკავშირებით გაცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად და დროული რეაგირება მოახდინოს ბენეფიციარის მიერ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნაზე.**

სათანადო კომუნიკაცია ერთის მხრივ, გულისხმობს ადვოკატის „პოზიტიურ ვალდებულებას“, რომ ბენეფიციარს მიაწოდოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით, რათა ბენეფიციარმა მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება მისი საქმის შესახებ და მეორეს მხრივ, ადვოკატმა უნდა მოახდინოს „დროული რეაგირება“ ბენეფიციარის მიერ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნაზე (In Re Smith, 659 N.E.2d 896 (Ill. 1995), Illinois Supreme Court;).

„პოზიტიური ვალდებულების“ ფარგლებში, ადვოკატმა ბენეფიციარს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და განმარტება საქმის გარემოებების, პროცედურების, რისკების, გონივრულად მისაღწევი ალტერნატივებისა და მათი მიღწევის მეთოდების/საშუალებების შესახებ. ასევე ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენს ბენეფიციარის ინფორმირება საქმის შემდგომი მიმდინარეობისა და განვითარების შესახებ, განსაკუთრებით თუ საკითხები ეხება ვადებს და წარმომადგენლობის შინაარსს. ადვოკატი ვალდებულია დაადგინოს იმ საკონტაქტო პირთა წრე, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;

რაც შეეხება ინფორმაციის მიწოდების ფარგლებს, აღნიშნული გულისხმობს საკითხის განმარტების ვალდებულებას რაც მოცემულ გარემოებებში გონივრულად საჭიროა იმისათვის, რომ ბენეფიციარმა მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება მისი საქმის შესახებ.

ამასთან, ადვოკატმა ბენეფიციარს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ ფორმითა და მოცულობით რა ფორმით და მოცულობითაც ბენეფიციარს აქვს უნარი აღიქვას ინფორმაცია.

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბენეფიციარს აქვს სამედიცინო ჩვენება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ინფორმაციის აღქმას, ადვოკატმა ბენეფიციარს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა ჩვეულებრივად მოაზროვნე და პასუხისმგებელი ზრდასრულის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

ინფორმაციის მიწოდება არ გულისხმობს ბენეფიციარისათვის საქმის ირგვლივ აბსოლუტურად ამომწურავი/დეტალური ინფორმაციის მიწოდებას. გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო იყოს ბენეფიციარის უფრო მეტი ინფორმირება ვიდრე სხვა შემთხვევებში. ადვოკატის ვალდებულება არ მოიცავს ბენეფიციარისათვის არარელევანტური ან უმნიშვნელო ინფორმაციის ან საქმის განვითარების შესახებ ყველა წვრილმანი აღმოჩენის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

როდესაც ადვოკატი ბენეფიციარს აწვდის ინფორმაციას მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, ადვოკატმა უნდა განიხილოს ყველა მნიშვნელოვანი/არსებითი პირობა ბენეფიციართან.

ამასთან, ბენეფიციარის ინფორმირება უნდა იყოს დროული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მოთხოვნა თავად ბენეფიციარისაგან მომდინარეობს.

ადვოკატი ვალდებულია მარწმუნებელს რჩევა და წარმომადგენლობა გაუწიოს დროულად, ცნობიერად და გულმოდგინედ (ევროპელი ადვოკატების ქცევის კოდექსი, 3.1.2.).

მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ბენეფიციარი დააყენებს „გონივრულ“ მოთხოვნას ადვოკატთან კომუნიკაციაზე, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს დაუყონებლივ. თუ ეს შეუძლებელია მაშინ ადვოკატისა და ბენეფიციარის კომუნიკაცია უნდა შედგეს პირველივე შესაძლებლობისთანავე. ხანგრძლივი დაყოვნების შემთხვევაში, ბენეფიციარს უნდა ეცნობოს რომ ადვოკატისათვის მისი მოთხოვნა ცნობილია და მოთხოვნაზე ადვოკატი რეაგირებას მოახდენს პირველივე შესაძლებლობისთანავე.

ადვოკატი ვალდებულია აცნობოს ბენეფიციარს მისი შვებულებაში ყოფნის ან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შესახებ და პერიოდი.

ადვოკატმა უნდა აცნობოს ბენეფიციარს მასთან შეთანხმებული ქმედებების შეუსრულებლობის მიზეზები.

ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს ბენეფიციარს ინფორმაცია საპროცესო მოქმედების შესრულების ვადების გაშვების შესახებ და განუმარტოს ამ ვადების გაშვების საფუძვლები და შემდგომი შესაძლო მოქმედებები.

ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს ბენფიციარს ინფორმაცია გასაჩივრების შესაძლებლობებისა და სავარაუდო პერსპექტივების შესახებ. სისხლის სამართლის წარმოებისას ასევე ინფორმაცია მსჯავრდების შემდგომი აღტერნატივების შესახებ.

ადვოკატი ვალდებულია ბენეფიციარს განუმარტოს საჩივრის/შუამდგომლობის, განცხადების წარდგენაზე უარის თქმის შესახებ, თუ ადვოკატი არ მიიჩნევს მიზანშეწონილად საჩივრის/შუამდგომლობის წარდგენას.

ადვოკატი ვალდებულია ეს განმარტება ბენეფიციარს მიაწოდოს წერილობით და დაუსაბუთოს უარის თქმის საფუძვლები. ამასთან, ბენეფიციარს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო რომ აიყვანოს სხვა ადვოკატი, ან მოითხოვოს სხვა ადვოკატის დანიშვნა ან თავად მოახდინოს დოკუმენტის შედგენა და დროულად წარდგენა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება -Sialkowska v. Poland).

#### 4.4. ბენეფიციარისათვის უფლებების განმარტება

საქმის თავისებურებისა და საკითხის რელევანტურობიდან გამომდინარე, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ბენეფიციარს განუმარტოს წინამდებარე თავში მითითებული უფლებები.

საქმის თავისებურებისა და საკითხის რელევანტურობიდან გამომდინარე, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ბენეფიციარს განუმარტოს ნებისმიერი სხვა უფლება.

##### 4.4.1. სისხლის სამართალწარმოებისას საზოგადოებრივი ადვოკატი ვალდებულია ბენეფიციარს განუმარტოს:

4.4.1.1. საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის საფუძველი და მომსახურების პირობები, წარმომადგენლობის ფარგლები, მათ შორის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება არის უფასო;

4.4.1.2. ადვოკატსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობა, აგრეთვე ის, რომ აკრძალულია დასაცავი პირისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას;

4.4.1.3. ადვოკატის აცილების საფუძვლები და უფლება ადვოკატის შეთანხმებით მოწვევის თაობაზე (ბენეფიციარის მიმალვაში ყოფნის/ძებნილის შემთხვევაში განემარტება მისი ოჯახის წევრს);

4.4.1.4. ბენეფიციარის წინასწარი თანხმობით, სხვა პირების დასწრების შესაძლებლობა და ის ფაქტი, რომ დამსწრე პირები არ სარგებლობენ ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალობის უფლებითა და ვალდებულებით;

- 4.4.1.5. თარჯიმნის სახელმწიფო ხარჯზე მოწვევის უფლება თუ ბენეფიციარმა არ იცის, ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა, ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე გამორიცხავს ბენეფიციართან კომუნიკაციას;
- 4.4.1.6. წარდგენილი ბრალდების არსი (დასაცავი პირის მიმალვაში ყოფნისას ან მის მიმართ ძებნის გამოცხადებისას ადვოკატი უკავშრდება ოჯახის წევრს და აცნობებს საქმის ვითარებას, ბრალდების არსს), ბრალდების მხარის მტკიცებულებები და სისხლის სამართლის საქმის მოსალოდნელი სავარაუდო შედეგი/საქმის პერსპექტივა;
- 4.4.1.7. საქმისწარმოების მიმდინარების ეტაპები, საქმეში მონაწილე პირებისა და ადვოკატის, ბენეფიციარის როლი;
- 4.4.1.8. დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, ბენეფიციარის უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული;
- 4.4.1.9. ბრალდების მხარის, მოსამართლის, ექსპერტის, თარჯიმნის, სხდომის მდივნის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის, ნაფიცი მსაჯულის აცილების საფუძვლები;
- 4.4.1.10. ბენეფიციარის წამებას, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევაში საჩივრის წარდგენის უფლება;
- 4.4.1.11. უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით უფასო სამედიცინო შემოწმებაზე;
- 4.4.1.12. დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით გამოძიების ჩატარების უფლება, მტკიცებულებების კანონიერად მოპოვებისა და წარდგენის უფლება, წესი და ვადები;
- 4.4.1.13. პირის მახასიათებელი მტკიცებულებების მოპოვების შესახებ (ბენეფიციარის მიმალვაში ყოფნის/ძებნილის შემთხვევაში განემარტება მისი ოჯახის წევრს);
- 4.4.1.14. დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში ბენეფიციარის ოჯახის წევრისთვის ან ახლო ნათესავისთვის დაკავების ან დაპატიმრების ფაქტის და ადგილსამყოფელის შეტყობინების უფლება;
- 4.4.1.15. აღკვეთის ღონისძიების სახეები და მისი გამოყენების, შეცვლის და გაუქმების საფუძვლები;
- 4.4.1.16. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- 4.4.1.17. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები;
- 4.4.1.18. აღკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების უფლება, ვადა და წესი;
- 4.4.1.19. ბრალდების მხარის ქმედების გასაჩივრების უფლება;
- 4.4.1.20. სისხლის სამართლებრივი დევნისგან განრიდება/მედიაციის შესაძლებლობა და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგ(ებ)ი;
- 4.4.1.21. საპროცესო შეთანხმების არსი, მისი გაფორმების შესაძლებლობა და შედეგები;
- 4.4.1.22. საპროცესო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, საპროცესო შეთანხმების არსი, მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივი შედეგები და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა უფლება;

- 4.4.1.23. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება;
- 4.4.1.24. კანონიერად, კანონდარღვევით მოპოვებული და წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის და ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლობის შესახებ და შედეგები;
- 4.4.1.25. წინასასამართლო სხდომამდე 5 (ხუთი) დღით ადრე ბრალდების მხარესთან მტკიცებულებების გაცვლის და სასამართლოში წარდგენის ან წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები;
- 4.4.1.26. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესი, ნაფიცი მსაჯულების აცილების/შეცვლის საფუძვლები, ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის გამოტანის წესი და პოცედურები და ბრალდებულის უფლებები;
- 4.4.1.27. მტკიცებულებათა სადავოდ, უდავოდ ცნობის, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები;
- 4.4.1.28. სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) სამართლებრივი შედეგები;
- 4.4.1.29. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, წესი და ვადები;
- 4.4.1.30. პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოში, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის წესი, ვადები, პროცედურები და ადვოკატის/ბრალდებულის როლი;
- 4.4.1.31. პირველი ინსტანციის სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) სამართლებრივი შედეგები, გასაჩივრების უფლება, წესი და ვადები;
- 4.4.1.32. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) სამართლებრივი შედეგები;
- 4.4.1.33. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესი და პროცედურა;
- 4.4.1.34. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომი პროცედურები და ქმედებები, მსჯავრდების შემდგომი ალტერნატივები;
- 4.4.1.35. საპროცესო მოქმედებების ოქმებში განცხადებების, კითხვებისა და პასუხების სათანადო სისწორით არ ასახვის შემთხვევაში შენიშვნების გაკეთების უფლება, წესი და ვადები;
- 4.4.1.36. უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება, წესი და ვადები
- 4.4.1.37. საკონტაქტო პირთა წრის განსაზღვრა, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;
- 4.4.2. სისხლის სამართალწარმოებისას საზოგადოებრივი ადვოკატი ბენეფიციართა შეხედრისას ვალდებულია გარკვიოს:**
- 4.4.2.1. დასაცავი პირის პოზიცია წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით;

4.4.2.2. ჰქონდათ თუ არა ბენეფიციარის მიმართ ადგილი წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას;

4.4.2.3. დაკავებამდე ან/და დაკავების შემდეგ ხომ არ ჩატარებულა ბენეფიციარის მიმართ რომელიმე საგამოძიებო მოქმედება საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვამდე;

4.4.2.4. ჰქონდათ თუ არა დაკავებისას ან საქმის მსვლელობისას ადგილი საპროცესო ნორმების დარღვევას (ბენეფიციარის შეფასების მიხედვით);

#### **4.4.3. სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას საზოგადოებრივი ადვოკატი ვალდებულია ბენეფიციარს განუმარტოს:**

4.4.3.1. საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის საფუძველი და მომსახურების პირობები, წარმომადგენლობის ფარგლები, მათ შორის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება არის უფასო;

4.4.3.2. ადვოკატისა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობა;

4.4.3.3. ადვოკატის აცილების საფუძვლები და უფლება ადვოკატის შეთანხმებით მოწვევის თაობაზე;

4.4.3.4. ბენეფიციარის წინასწარი თანხმობით, სხვა პირების დასწრების შესაძლებლობა და ის ფაქტი, რომ დამსწრე პირები არ სარგებლობენ ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალობის უფლებითა და ვალდებულებით;

4.4.3.5. თარჯიმნის სახელმწიფო ხარჯზე მოწვევის უფლება თუ ბენეფიციარმა არ იცის, ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა, ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე გამორიცხავს ბენეფიციართან კომუნიკაციას;

4.4.3.6. საქმის არსი და საქმის პერსპექტივა, საქმის წარმართვის შესაძლო ალტერნატივები და სავარაუდო შედეგ(ებ)ი;

4.4.3.7. საქმის განსჯადობა და უწყებრივი ქვემდებარეობა;

4.4.3.8. პროცესის ხარჯები და ოდენობა, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების/შემცირების/გადახდის გადავადების შესახებ;

4.4.3.9. მტკიცების ტვირთის და მტკიცებულებათა შეგროვებისა და წარდგენის უფლება და წესი;

4.4.3.10. მოსამართლის, ექსპერტის, თარჯიმნის, სხდომის მდივნის, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძვლები;

4.4.3.11. ადმინისტრაციულ ორგანოში, პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოში, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურა, ვადა და ბენეფიციარის, ადვოკატის როლი;

4.4.3.12. ადმინისტრაციული ორგანოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს, (განჩინების, დადგენილების, ბრძანების და ა.შ.) გასაჩივრების უფლება, წესი და ვადები;

4.4.3.13. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები;

- 4.4.3.14. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების, საპროცესო უზრუნველყოფის, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის არსი, განცხადების წარდგენის წესი, პროცედურა, ვადები და სავარაუდო შედეგები/პერსპექტივა;
- 4.4.3.15. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების, საპროცესო უზრუნველყოფის, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის განცხადებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესი, საფუძვლები და ვადა;
- 4.4.3.16. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ;
- 4.4.3.17. საქმის წარმოების დასრულებამდე დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ;
- 4.4.3.18. სარჩელის/განცხადების წარმოებაში მიუღებლობისას სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, წესი და ვადა;
- 4.4.3.19. საქმის მედიატორისთვის გადაცემის შესაძლებლობა და სამართლებრივი საფუძვლები, მედიაციის პროცედურა, ვადები, მედიატორის როლი და მედიაციაში საქმის დასრულების შესაძლო შედეგები;
- 4.4.3.20. საქმის მორიგებით დასრულების შესაძლებლობა, პროცედურა და შედეგები;
- 4.4.3.21. ადმინისტრაციულ ორგანოში, სასამართლო სხდომაზე, მედიაციაში გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები;
- 4.4.3.22. საპროცესო მოქმედებების ოქმებში შენიშვნების წარდგენის უფლება, წესი და ვადები;
- 4.4.3.23. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესი, პროცედურა და ვადები;
- 4.4.3.24. საკონტაქტო პირთა წრის განსაზღვრა, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;

#### 4.4. საზოგადოებრივი ადვოკატი ვალდებულია არასრულწლოვან ბენეფიციარს, მისი განვითარებისათვის შესატყვისი ფორმით განუმარტოს:

- 4.4.4.1. საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის საფუძველი და მომსახურების პირობები, წარმომადგენლობის ფარგლები, მათ შორის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება არის უფასო
- 4.4.4.2. ადვოკატსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობა, აგრეთვე ის, რომ აკრძალულია დასაცავი პირისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას
- 4.4.4.3. ადვოკატის აცილების საფუძვლები და უფლება ადვოკატის შეთანხმებით მოწვევის თაობაზე (ბენეფიციარის მიმალვაში ყოფნის/მებნილის შემთხვევაში განემარტა მისი ოჯახის წევრს);
- 4.4.4.4. ბენეფიციარის წინასწარი თანხმობით, სხვა პირების დასწრების შესაძლებლობა და ის ფაქტი, რომ დამსწრე პირები არ სარგებლობენ ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალობის უფლებითა და ვალდებულებით
- 4.4.4.5. თარჯიმნის სახელმწიფო ხარჯზე მოწვევის უფლება თუ ბენეფიციარმა არ იცის, ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა, ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე გამორიცხავს ბენეფიციართან კომუნიკაციას

4.4.4.6. უფლება, რომ მას საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებამდე, უნდა სცოდნოდა რა საქმის გამო იყო გამოძახებული

4.4.4.7. ბენეფიციარის განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლება

4.4.4.8. კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლება

4.4.4.9. საპროცესო მოქმედებაზე კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის დასწრებაზე უარის თქმის უფლება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ან იმ შემთხვევაში, როცა კანონიერ წარმომადგენელი იმავე საქმეში გამოსაკითხ პირად/მოწმედ მონაწილეობს

4.4.4.10. ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის დასწრებაზე უარის თქმის უფლება, მშობელი (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლი მოძალადეა;

4.4.4.11. საკონსულო დახმარების მიღების უფლება, თუ ბენეფიციარი უცხო ქვეყნის მოქალაქეა

4.4.4.12. საქმის გასაცნობად და სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის ყველა საჭირო მომსახურებით უფასოდ სარგებლობის უფლება (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარის შემთხვევაში)

4.4.4.13. გამოძიებაში გამოკითხვის ნებაყოფლობითობის, მტკიცებულების ან ინფორმაციის იძულებით წარდგენის დაუშვებლობის თაობაზე და მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის უფლება

4.4.4.14. გამოკითხვაზე ნებაყოფლობით უარის თქმის შემთხვევაში, მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის ვალდებულება და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის თაობაზე

4.4.4.15. გამოკითხვის ოქმისა და გამოძიების დროს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მიცემული ჩვენების გამოკვლევის, ასევე, მოწმის დისტანციური დაკითხვის შესაძლებლობის შესახებ

4.4.4.16. ბენეფიციარის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმის გაცნობის, მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანის უფლება, წესი და ვადა

4.4.4.17. ბენეფიციარის ან ბენეფიციარის ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების უფლება

4.4.4.18. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობის მიღების უფლება

4.4.4.19. ბენეფიციარის ან ბენეფიციარის ახლო ნათესავის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების უფლება, სახეები და მისი გამოყენების საფუძვლები

4.4.4.20. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობის უფლება

4.4.4.21. საპროცესო მოქმედებაზე მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის დასწრების უფლება

4.4.4.22. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უფლება

- 4.4.4.23. სწორი ინფორმაციის მიწოდების, სასამართლოში გამოცხადების, დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუთქმელობის, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის ვალდებულება
- 4.4.4.24. სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოცხადებლობისას იძულებით მიყვანის ან/და დაჯარიმების თაობაზე
- 4.4.4.25. გამოკითხვა/დაკითხვის დროს ცრუ დასმენისათვის და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე წერილობითი გაფრთხილების შესახებ, გარდა 14 წლამდე ასაკს მიუღწეველი პირისა, რომელიც ვალდებულია თქვას სიმართლე
- 4.4.4.26. დაკითხვის ზოგადი წესის შესახებ, ხოლო თუ ბენეფიციარს უჭირს დაკითხვის სიტყვიერად გადმოცემა, ინფორმაციის მისთვის გასაგები ფორმით გადმოცემის უფლება (ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით, ასევე, დაკითხვისას მოწმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი)
- 4.4.4.27. ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსის ცოდნის უფლება (დაზარალებულს)
- 4.4.4.28. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლის უფასოდ მიიღოს უფლება (დაზარალებულს)
- 4.4.4.29. გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების და საქმის მასალების გაცნობის უფლება (დაზარალებულს)
- 4.4.4.30. გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების და საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში პროცურორის მიერ დასაბუთებული დადგენილების გამოტანის ვალდებულების თაობაზე და დადგენილების ზემდგომ პროცურორთან გასაჩივრების უფლება, წესი და ვადა (დაზარალებულს)
- 4.4.4.31. დაზარალებულის უფლება, მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ
- 4.4.4.32. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის უფლება
- 4.4.4.33. დაზარალებულად ცნობად მოთხოვნის უფლება, თუ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში მიადგა ზიანი
- 4.4.4.34. რომ დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე პროცურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად ზემდგომი პროცურორისთვის მიმართვის უფლება
- 4.4.4.35. ზემდგომი პროცურორის გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები და გასაჩივრების წესი და ვადა
- 4.4.4.36. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაცნობისა და გამომძიებლის/პროცურორის მიერ უფლებების გაცნობის ოქმზე შენიშვნების გაკეთების უფლება და წესი

- 4.4.4.37. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ მისი გაუქმებისას ინფორმაციის წერილობით ცნობის თაობაზე
- 4.4.4.38. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების საფუძვლები
- 4.4.4.39. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გამოტანამდე, პროკურორის ვალდებულება კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და შეადგინოს ოქმი, ხოლო დადგენილების გამოტანის შემთხვევაში გაუგზავნოს მისი ასლი დაზარალებულს
- 4.4.4.40. პროკურორის დადგენილების გასაჩივრების საფუძვლები, წესი და ვადა
- 4.4.4.41. გამომიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლება, წესი და ვადა
- 4.4.4.42. განრიდების და საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორის ვალდებულება კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან
- 4.4.4.43. სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ზიანის შესახებ წერილობით ან ზეპირად ინფორმაციის მიღების უფლება
- 4.4.4.44. რომ არა აქვს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება
- 4.4.4.45. სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება, საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიუხედავად
- 4.4.4.46. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება
- 4.4.4.47. მაგისტრატ მოსამართლესთან ბრალდებულის პირველი წარდგენის, წინასასამართლო, მთავარი, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის, სასჯელის შეფარდების, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომების თარიღის წინასწარ ცნობის უფლება
- 4.4.4.48. სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის უფლება
- 4.4.4.49. სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის მიუხედავად, სხდომაზე ან სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება
- 4.4.4.50. ზიანის შესახებ წერილობით ან ზეპირად ინფორმაციის მიწოდების უფლება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას
- 4.4.4.51. საპროცესო მოქმედებების ოქმებში განცხადებების, კითხვებისა და პასუხების სათანადო სისწორით არ ასახვის შემთხვევაში შენიშვნების გაკეთების უფლება
- 4.4.4.52. გამომიებისას და სასამართლო განხილვისას საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონების დაბრუნების უფლება
- 4.4.4.53. დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, როგორ უნდა მოიქცეს საქმის წარმოების დროს
- 4.4.4.54. ბავშვის უფლებები და როლი სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესში. კერძოდ:
- 4.4.4.54.1. ბავშვს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და ისარგებლოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემით, რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი;

4.4.4.54.2. ბავშვთან დაკავშირებული წებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად განისაზღვრება;

4.4.4.54.3. ბავშვთან დაკავშირებული წებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას საჯარო დაწესებულება, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან პატივი სცენ თითოეულ ბავშვს, დაიცან იგი და თანასწორად მოეპყრონ;

4.4.4.54.4. ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ წებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით;

4.4.4.54.5. ბავშვს უფლება აქვს გამოხატოს თანხმობა შვილად აყვანის საქმეზე სასამართლო სხდომის დახურულად ჩატარების თაობაზე;

4.4.4.54.6. ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს მხარდაჭერის მექანიზმებით პროცესში მონაწილეობისთვის;

4.4.4.54.7. ბავშვს უფლება აქვს განემარტოს პროცესის შესაძლო შედეგები და პროცესის ადგილი და თარიღი – როდესაც ბავშვი პროცესის უშუალო მონაწილეა;

4.4.4.54.8. ბავშვს უფლება აქვს განემარტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები;

4.4.4.54.9. ადმინისტრაციულმა ორგანომ და სასამართლომ ბავშვთან დაკავშირებული განცხადების, ადმინისტრაციული საჩივრის, შუამდგომლობის და სარჩელის განხილვას უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი;

#### 4.4.5. საზოგადოებრივი ადვოკატი არასრულწლოვან ბენეფიციართა შეხედრისას ვალდებულია გაარკვიოს:

4.4.5.1. ჰქონდა თუ არა მის მიმართ რაიმე ზეწოლას ადგილი ადვოკატთან შეხვედრამდე

4.4.5.2. ჩატარდა თუ არა რაიმე საგამომიებო მოქმედება ადვოკატის ჩართვამდე

4.4.5.3. ჰქონდა თუ არა გამოკითხვისას/დაკითხვისას ან/და საქმის მსვლელობისას ადგილი საპროცესო ნორმების დარღვევას

4.4.5.4. საკონტაქტო პირთა წრე, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია

#### 4.4.6. ადვოკატი ვალდებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე ბენეფიციარს ან მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შენთხვევაში ოჯახის წევრს განუმარტოს:

4.4.7.1. საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის საფუძველი და მომსახურების პირობები, წარმომადგენლობის ფარგლები, მათ შორის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება არის უფასო

4.4.7.2. ადვოკატისა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობა

4.4.7.3. ადვოკატის აცილების საფუძვლები და უფლება ადვოკატის შეთანხმებით მოწვევის თაობაზე

4.4.7.4. ბენეფიციარის წინასწარი თანხმობით, სხვა პირების დასწრების შესაძლებლობა და ის ფაქტი, რომ დამსწრე პირები არ სარგებლობენ ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალობის უფლებითა და ვალდებულებით

4.4.7.5. თარჯიმნის სახელმწიფო ხარჯზე მოწვევის უფლება თუ ბენეფიციარმა არ იცის, ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა, ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე გამორიცხავს ბენეფიციართან კომუნიკაციას

4.4.7.6. საქმის არსი და საქმის პერსპექტივა, საქმის წარმართვის შესაძლო ალტერნატივები და სავარაუდო შედეგ(ებ)ი

4.4.7.7. მოსამართლის, თარჯიმნის, სხდომის მდივნის აცილების საფუძვლები

4.4.7.8. ბენეფიციარის წამებას, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევაში საჩივრის წარდგენის უფლება

4.4.7.9. ადმინისტრაციული დაკავებისას ან საქმის მსვლელობისას საპროცესო ნორმების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრის წარდგენის უფლება

4.4.7.10. სასამართლო პროცესზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასწრების უფლება: არასრულწლოვანი ან ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე ბენეფიციარისათვის

4.4.7.11. მტკიცების ტვირთის და მტკიცებულებათა შეგროვებისა და წარდგენის უფლება და წესი 1.12. შუამდგომლობის დაყენების, განხილვის წესი და სამართლებრივი საფუძვლები

4.4.7.11. სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

4.4.7.12. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, წესი და ვადები

4.4.7.13. სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვის წესი

4.4.7.14. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მისი კანონიერ ძალაში შესვლის სამართლებრივი შედეგები

4.4.7.15. პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვის პროცედურა, ვადა და ბენეფიციარის, ადვოკატის როლი

4.4.7.16. საპროცესო მოქმედებების ოქმებში შენიშვნების წარდგენის უფლება, წესი და ვადები

4.4.7.17. უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება, წესი და ვადები

#### **4.4.7. ადვოკატმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე უნდა გაარკვიოს:**

4.4.7.1. საკონტაქტო პირთა წრე, ვისაც შეიძლება მიეწოდოს საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია

#### **4.4.8. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ საქმეზე ადვოკატი ვალდებულია ბენეფიციარს ან მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შენთხვევაში ოჯახის წევრს განუმარტოს:**

4.4.8.1. საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის საფუძველი და მომსახურების პირობები, წარმომადგენლობის ფარგლები, მათ შორის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება არის უფასო

- 4.4.8.2. ადვოკატსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობა, აგრეთვე ის, რომ აკრძალულია დასაცავი პირისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას
- 4.4.8.3. ადვოკატის აცილების საფუძვლები და უფლება ადვოკატის შეთანხმებით მოწვევის თაობაზე
- 4.4.8.4. ბენეფიციარის წინასწარი თანხმობით, სხვა პირების დასწრების შესაძლებლობა და ის ფაქტი, რომ დამსწრე პირები არ სარგებლობენ ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალობის უფლებითა და ვალდებულებით
- 4.4.8.5. თარჯიმნის სახელმწიფო ხარჯზე მოწვევის უფლება თუ ბენეფიციარმა არ იცის, ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა, ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე გამორიცხავს ბენეფიციართან კომუნიკაციას
- 4.4.8.6. მისთვის გასაგებ ენაზე, დისციპლინური დარღვევის არსი, საფუძვლები და მოსალოდნელი სავარაუდო შედეგ(ებ)ი, საქმის პერსპექტივა
- 4.4.8.7. საქმისწარმოების მიმდინარეობის ეტაპები, საქმეში მონაწილე პირებისა და ადვოკატის, ბენეფიციარის როლი
- 4.4.8.8. მოსამართლის, თარჯიმნის, სხდომის მდივნის აცილების საფუძვლები და წესი
- 4.4.8.9. ბენეფიციარის წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევაში საჩივრის წარდგენის უფლება
- 4.4.8.10. მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლება
- 4.4.8.11. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში, დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის და საშუალების ქონის უფლება
- 4.4.8.12. ზეპირი მოსმენის დროს დაჯდომის და ჩანაწერების გაკეთების უფლება
- 4.4.8.13. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში, დისციპლინურ განხილვაზე მოწმეთა დასწრების და დაკითხვის მოთხოვნის უფლება
- 4.4.8.14. შუამდგომლობის დაყენების, განხილვის წესი და სამართლებრივი საფუძვლები
- 4.4.8.15. ახსნა-განმარტების მიცემის, მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის უფლება
- 4.4.8.16. პენიტენციურ დაწესებულებაში დისციპლინური ღონისძიების გამოყენების, განხილვის წესი და პროცედურა
- 4.4.8.17. დისციპლინური ღონისძიების/პატიმრობის გამოყენების შესახებ განკარგულების ასლის გამოცემისთანავე გადაცემის უფლება
- 4.4.8.18. დაწესებულების დირექტორის განკარგულების სამართლებრივი შედეგები
- 4.4.8.19. დაწესებულების დირექტორის განკარგულების ერთჯერადად გასაჩივრების უფლება
- 4.4.8.20. პროცესის ხარჯების შესახებ
- 4.4.8.21. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, შემცირების, გადახდის გადავადების შესახებ
- 4.4.8.22. პენიტენციურ დაწესებულებაში დისციპლინური პატიმრობის შეფარდების საფუძვლები
- 4.4.8.23. პენიტენციურ დაწესებულებაში დისციპლინური პატიმრობის შეფარდების განხილვის წესი და პროცედურა

- 4.4.8.24. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ დაწესებულების დირექტორის განკარგულების სასამართლოსთვის წარდგენის წესი
- 4.4.8.25. დისციპლინური პატიმრობის შეფარდების სასამართლოში განხილვის წესი
- 4.4.8.26. სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები
- 4.4.8.27. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, წესი და ვადა
- 4.4.8.28. სააპელაციო სასამართლოში დისციპლინური პატიმრობის შეფარდების განხილვის წესი
- 4.4.8.29. დისციპლინური პატიმრობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების და მისი კანონიერ ძალაში შესვლის სამართლებრივი შედეგები
- 4.4.8.30. დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, საქმის წარმოების დროს, მოქცევის წესები
- 4.4.8.31. საპროცესო მოქმედებების ოქმებში განცხადებების, კითხვებისა და პასუხების სათანადო სისწორით არასახვის შემთხვევაში შენიშვნების გაკეთების უფლება.

#### **4.4.9. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ საქმეზე აღვოყატმა უნდა გაარკვიოს:**

- 4.4.9.1. მიეცა თუ არა ბენეფიციარს დამცველის შეთანხმებით მოწვევის თაობაზე კანონით გათვალისწინებული ვადა
- 4.4.9.2. ჰქონდა თუ არა ბენეფიციარის მიმართ ადგილი წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას
- 4.4.9.3. ჰქონდა თუ არა საქმის მსვლელობისას ადგილი საპროცესო ნორმების დარღვევას (ბენეფიციარის შეფასების მიხედვით)
- 4.4.9.4. საკონტაქტო პირთა წრე ვისაც შეიძლება მიაწოდოს საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია

#### **4.4.10. სხვა კატეგორიის საქმეზე აღვოყატი ვალდებულია ბენეფიციარს ან მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შენთხვევაში ოჯახის წევრს განუმარტოს:**

- 4.4.10.1. საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის საფუძველი და მომსახურების პირობები, წარმომადგენლობის ფარგლები, მათ შორის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება არის უფასო
- 4.4.10.2. ადვოკატსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობა, აგრეთვე ის, რომ აკრძალულია დასაცავი პირისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას
- 4.4.10.3. ადვოკატის აცილების საფუძვლები და უფლება ადვოკატის შეთანხმებით მოწვევის თაობაზე
- 4.4.10.4. ბენეფიციარის წინასწარი თანხმობით, სხვა პირების დასწრების შესაძლებლობა და ის ფაქტი, რომ დამსწრე პირები არ სარგებლობენ ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალობის უფლებითა და ვალდებულებით

- 4.4.10.5. თარჯიმნის სახელმწიფო ხარჯზე მოწვევის უფლება თუ ბენეფიციარმა არ იცის, ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა, ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე გამორიცხავს ბენეფიციართან კომუნიკაციას
- 4.4.10.6. საქმის ვითარება (დასაცავი პირის მიმალვაში ყოფნისას ან მის მიმართ ძებნის გამოცხადებისას ოჯახის წევრს)
- 4.4.10.7. საქმისწარმოების მიმდინარების ეტაპები, საქმეში მონაწილე პირებისა და ადვოკატის, ბენეფიციარის როლი
- 4.4.10.8. მოსამართლის, თარჯიმნის, სხდომის მდივნის აცილების საფუძვლები
- 4.4.10.9. ბენეფიციარის წამებას, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევაში საჩივრის წარდგენის უფლება
- 4.4.10.10. მტკიცებულებების კანონიერად მოპოვებისა და წარდგენის უფლება, წესი და ვადები
- 4.4.10.11. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლება
- 4.4.10.12. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლება
- 4.4.10.13. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობის უფლება
- 4.4.10.14. არასრულწლოვნ ბრალდებულს/მსჯავრდებულის საქმის დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილვის უფლება
- 4.4.10.15. მოსალოდნელი სავარაუდო შედეგ(ებ)ი, საქმის პერსპექტივა
- 4.4.10.16. შუამდგომლობის, განცხადების, წარდგინების დაყენების და განხილვის წესი, პროცედურა და სამართლებრივი საფუძვლები
- 4.4.10.17. მსჯავრდებულის ძებნასთან დაკავშირებული საკითხები
- 4.4.10.18. მუდმივმოქმედ კომისიაში ან ადგილობრივ საბჭოში შუამდგომლობის/განცხადების განხილვის წესი
- 4.4.10.19. მუდმივმოქმედი კომისიის ან ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები
- 4.4.10.20. მუდმივმოქმედი კომისიის ან ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება
- 4.4.10.21. პროცესის ხარჯების შესახებ
- 4.4.10.22. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, გათავისუფლების, შემცირების, გადახდის გადავადების შესახებ
- 4.4.10.23. სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები
- 4.4.10.24. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, წესი და ვადა
- 4.4.10.25. დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, როგორ უნდა მოიქცეს საქმის წარმოების დროს
- 4.4.10.26. საპროცესო მოქმედებების ოქმებში განცხადებების, კითხვებისა და პასუხების სათანადო სისწორით არ ასახვის შემთხვევაში შენიშვნების გაკეთების უფლება, წესი და ვადები

4.4.10.27. სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება

4.4.10.28. დაკავებისას ან საქმის მსვლელობისას საპროცესო ნორმების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრის წარდგენის უფლება

#### 4.4.11. სხვა კატეგორიის საქმეზე ადვოკატმა უნდა გაარკვიოს:

4.4.11.1. დასაცავი პირის პოზიცია წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით

4.4.11.2. ჰქონდა თუ არა ბენეფიციარის მიმართ ადგილი წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას

4.4.11.3. დაკავებამდე ან/და დაკავების შემდეგ ხომ არ ჩატარებულა ბენეფიციარის მიმართ რომელიმე საგამომიებო მოქმედება საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვამდე

4.4.11.4. ჰქონდა თუ არა დაკავებისას ან საქმის მსვლელობისას ადგილი საპროცესო ნორმების დარღვევას (ბენეფიციარის შეფასების მიხედვით)

4.4.11.5. საკონტაქტო პირთა წრე ვისაც შეიძლება მიაწოდოს საქმის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია

**შენიშვნა:** სხვა კატეგორიის საქმეებია: განაჩენის აღსრულების გადავადება, სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება, ორსული ქალისთვის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო (დასაზუსტებელია), პირობითი მსჯავრის გაუქმება და განაჩენის აღსრულება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა, არასაპატიმრო სასჯელის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით, არასაპატიმრო სასჯელის შეცვლა სხვა სასჯელით, მსჯავრდებულის მიმართ გამოსაცდელი ვადის გაგრძელება, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან განთავისუფლება, საპრობაციო ძებნა, უცხო ქვეყნის დავალების შესრულება, საექტრადაციო წარმოება, სასჯელის გადახედვა გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, ნასამართლობის მოხსნა, ამნისტია, შეწყალება, პენიტენციურ დაწესებულებაში კონსულტაცია.

#### 4.5 ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორციელება

4.5.1. საზოგადოებრივი ადვოკატი ვალდებულია ბენეფიციართან შეათანხმოს განხორციელებული ქმედებები, მათი განხორციელების საშუალებები და საქმის წარმართვის სტრატეგია.

ადვოკატმა არ უნდა წარმართოს მხარის საქმე, გარდა მხარის ინსტრუქციისა (ევროპელი ადვოკატების ქცევის კოდექსი).

ადვოკატი ვალდებულია აიღოს პირადი პასუხისმგებლობა, რომ შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები და ვალდებულია მოახდინოს მარწმუნებლის ინფორმირება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მას მარწმუნებელმა მიანდო (ევროპელი ადვოკატების ქცევის კოდექსი, 3.1.2.).

თუ საქმესთან დაკავშირებით მისაღებია გარკვეული გადაწყვეტილება, ადვოკატი ვალდებულია ყოველგვარი დაყოვნების გარეშე შეხვდეს ბენეფიციარს და შეათანხმოს მასთან ქმედებები მათ განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადვოკატმა წინასწარ შეათანხმა ბენეფიციართან განსახორციელებელი ქმედებები.

თუ ადვოკატი მეორე მხარისაგან მიიღებს მორიგების ან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ წინადადებას მან დაუყონებლივ უნდა აცნობოს ამ წინადადების შესახებ და შინაარსი ბენეფიციარს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბენეფიციარს წინასწარ აქვს გამოთქმული რომ მსგავსი შინაარსის წინადადება მისაღები ან მიუღებელი იქნება მისთვის და თუ ბენეფიციარს აქვს გამოთქმული მოსაზრება რომ ადვოკატმა მიიღოს ან არ მიიღოს მსგავსი წინადადება. ასეთ შემთხვევაშიც, ადვოკატი ვალდებულია ბენეფიციარს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ მას აქვს საფუძველი იფიქროს ბენეფიციარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შეცვლის შესახებ.

ადვოკატი ვალდებულია ბენეფიციართან წინასწარ შეათანხმოს ის საშუალებები, რომელიც საჭიროა ბენეფიციართან შეთანხმებული სტრატეგიის განხორციელებისათვის.

პროცესის, საპროცესო ან საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის დროს, როდესაც აუცილებელია დაუყონებლივ გადაწყვეტილების მიღება, ადვოკატმა უნდა მოითხოვოს დრო ბენეფიციართან პოზიციის შესათანხმებლად და მთოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის გარემებებში შეუძლია იმოქმედოს შეთანხმების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ადვოკატმა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა შეატყობინოს ბენეფიციარს ამის შესახებ.

#### **4.6. სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში დოკულად გამოცხადება**

##### **4.6.1. ადვოკატი ვალდებულია დოკულად გამოცხადდეს სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში.**

თუ ადვოკატი ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებს სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ /საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში გამოცხადებას, საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობას და ა.შ. მაშინ მან ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა მიიღოს

ყოველა გონივრული ზომა, რომ მისმა გამოუცხდებლობამ არ შელახოს ბენეფიციარის ინტერესები.

კერძოდ: წინასწარ დააყენოს გადადების შუამდგომლობა, მოითხოვოს სხვა ადვოკატით ჩანაცვლება და ა.შ. (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Tripodi v. Italy).

## 5. პრაქტიკული უნარები

### 5.1 ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია გამოიჩინოს ემპათია ბენეფიციარის მიმართ.

ადვოკატთან/კონსულტანტთან კომუნიკაციის შემდგომ ბენეფიციარს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა რომ ადვოკატმა/კონსულტანტმა მას მოუსმინა.

ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია აქტიურად მოუსმინოს ბენეფიციარს, რათა მოიპოვოს მისი ნდობა და მიიღოს მისგან საქმესთან დაკავშირებით რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, ვინაიდან ფაქტების ცოდნა არის სწორი სტრატეგიის არჩევის/კონსულტაციის გაცემის ერთ-ერთი საფუძველი.

ბენეფიციართან გასაუბრებისას ადოკატმა/კონსულტანტმა უნდა მიაქციოს ყურადღება არა მხოლოდ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის წარმართვისათვის, არამედ ასევე ბენეფიციარის ემოციურ მდგომარეობასაც ვინაიდან, ემოციური კომპონენტი მნიშვნელოვან კავშირშია საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებთან.

### 5.2. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს სამართლებრივი ცოდნის პროაქტიული გამოყენება და ბენეფიციარს შესაძლებლობის ფარგლებში შესთავაზოს ალტერნატივები.

ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, ბენეფიციარმა უნდა იცოდეს საქმის წარმართვის შესაძლო ალტერნატივები და მათი შედეგები.

ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ბენეფიციარს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელიც ბენეფიციარს გააჩნია და ასევე მათი პერსპექტივებისა და შედეგების შესახებ.

### 5.3. ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია ბენეფიციარს ინფორმაცია გადასცეს მარტივი და გასაგები ენით.

ადვოკატმა/კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შექმნილი სიტუაცია შესაძლოა იყოს ბენეფიციარის სამართლებრივ სივრცესთან შეხების პირველი გამოცდილება (სამართლებრივი

მართლწერა, 2017 წელი). შესაბამისად, ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია მარტივი და გასაგები ენით გადასცეს ბენეფიციარს ინფორმაცია. თუ საკითხის გადასაცემად ადვოკატს/კონსულტანტს ესაჭიროება სამართლებრივი ტერმინების გამოყენება, მაშინ ის ვალდებულია უპირველესად განუმარტოს ბენეფიციარს ამ ტერმინების მნიშვნელობა.

თუ ბენეფიციარის შესაძლებლობები (ენის არცოდნა, ფიზიკური ნაკლი და ა.შ.) არ იძლევა ადვოკატთან/კონსულტანტთან კომუნიკაციის საშუალებას, მაშინ ადვოკატი/კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობა.

არასრულწლოვანთან კომუნიკაციისას დაცული უნდა იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა და ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი კომუნიკაციის სტანდარტები.

**5.4. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კომუნიკაციის წესები სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამოძიებო ორგანოში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში თუ სხვა ნებისმიერ პირთან ურთიერთობაში.**

ადვოკატი ვალდებულია ჰქონდეს კონსტრუქციული ურთიერთობა მოსამართლეებთან, პროკურორებთან და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა პირებთან.

მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის როლისადმი ურთიერთგაგებას, ურთიერთპატივისცემისა და დამოუკიდებლობას ერთმანეთთან მიმართებაში. ... მოსამართლეთა და ადვოკატთა შორის კონსტრუქციული ურთიერთობები ხელს შეუწყობენ სამართალწარმოების ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას (მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ 2013 წლის 15 ნოემბრის ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #16 დასკვნა).

ადვოკატი, რომელიც გამოცხადდება სასამართლოში და მონაწილეობას იღებს პროცესში, ვალდებულია დაემორჩილოს სასამართლოში ან ტრიბუნალში არსებულ ქცევის წესებს (ევროპელ ადვოკატთა ქცევის კოდექსი 4.1.)

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობას იღებს საქმის განხილვაში, ან წარსდგება სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, უნდა იცავდეს ქცევის მდგრადი სასამართლოში ან ტრიბუნალში მოქმედებს. ადვოკატი ყოველთვის სათანადო ყურადღებას უნდა აქცევდეს სასამართლო პროცესის სამართლიანად წარმართვას. ადვოკატმა ღირსეულად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, განურჩევლად ადვოკატის საკუთარი ინტერესებისა და წებისმიერი შედეგისა მის ან წებისმიერი სხვა პირის მიმართ. თუმცა, იმავდროულად, ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პატივისცემა და თავაზიანობა სასამართლოსადმი

(ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) ევროპის ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 პუნქტები).

მოსამართლებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობები ყოველთვის უნდა იცავდეს სასამართლოს მიუკერძოებლობას. მოსამართლები და ადვოკატები სრულად უნდა აცნობიერებდნენ ზემოაღნიშნულს და სასამართლოს მიუკერძოებლობა დაცული უნდა იყოს სათანადო პროცედურული და ეთიკური წესებით (მოსამართლებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ 2013 წლის 15 ნოემბრის ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #16 დასკვნა).

კოლეგებისადმი პატივისცემისა და კანონის უზენაესობისა და სამართლიანი მართლმსაჯულების პატივისცემის პრინციპები მოითხოვენ კოლეგების, ინდივიდუალური მოსამართლეებისა და სასამართლო პროცედურებისა და გადაწყვეტილებების შეურაცხმყოფელი კრიტიკისაგან თავის შეკავებას (CCBE-ს ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიის (თ) და (ი) პრინციპები).

მართლმსაჯულების შესაბამისი აღსრულება ადვოკატებისაგან ურთიერთპატივისცემას მოითხოვს, რათა სადავო საკითხები ცივილიზებული გზით გადაწყდეს. ამასთან, ურთიერთნდობა და გულწრფელობა ადვოკატების საჯარო ინტერესებში უნდა მოიაზრებოდეს. ამ პროფესიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთპატივისცემა მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებას უწყობს ხელს და შეთანხმების საფუძველზე კონფლიქტების გადაჭრის საშუალებას იძლევა, რაც მარწმუნებლის ინტერესებშიც შედის (2006 წლის 25 ნოემბერის ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) ევროპაში იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიის "თ" პრინციპი).

ადვოკატებს აქვთ უფლება გააკეთონ კომენტარი საზოგადოებაში მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით. თუმცა, ადვოკატის კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ ფარგლებს. ამ დროს დაცული უნდა იქნეს ბალანსი სხვადასხვა ინტერესებს შორის. კერძოდ, საზოგადოების ინტერესს – მიიღოს ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესსა და იურიდიული პროფესიის ღირსებას შორის (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Nikula v. Finland).

თანასწორობის უფლება და სამართლიანობის სხვა პირობები გულისხმობს თავისუფალ და თუნდაც არგუმენტების აგრესიულ გაცვლას მხარეებს შორის. თუმცა, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - Nikula v. Finland).

ევროპელ ადვოკატთა ქცევის კოდექსის 5.1.1. პუნქტის თანახმად, პროფესიის კორპორატიული სული მოიცავს ადვოკატებს შორის ნდობასა და თანამშრომლობას ბენეფიციარის ინტერესების

სასარგებლოდ და იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი დავები და პროფესიის შემლახავი სხვა სახის ქმედებები.

## თავი V.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმებია:

1. პროფესიული კომპეტენცია;
2. პრაქტიკული კომპეტენცია;
3. პროფესიული უნარები;

1. პროფესიული კომპეტენცია გულისხმობს ადვოკატის/კონსულტანტის მიერ შესაბამისი დარგის:

- 1.1. მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის;
- 1.2. საკანონდებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებების;
- 1.3. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის;
- 1.4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის;
- 1.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების და;
- 1.6. სხვა საერთაშორისო აქტების ცოდნას.

2. პრაქტიკული კომპეტენცია მოიცავს საზოგადოებრივი ადვოკატის/კონსულტანტის მიერ საქმის დროულად და ორგანიზებულად წარმართვას/კონსულტაციის გაწევას. კერძოდ:

- 2.1. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) საქმის მასალების გაცნობას,
- 2.2. საქმის გასაცნობად საკმარისი დროის დათმობას და სათანადოდ მომზადებას;
- 2.3. ბენეფიციართან სათანადო კომუნიკაციას;
- 2.4. ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას;
- 2.5. ბენეფიციარისათვის უფლებების განმარტებას;
- 2.6. ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორცელებას;
- 2.7. სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში დროულად გამოცხადებას;

3. პროფესიული უნარები მოიცავს:

- 3.1. ბენეფიციართან კომუნიკაციისას ადვოკატის/კონსულტანტის მიერ ემპათიის გამოჩენას;
- 3.2. ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მარტივად და გასაგებად გადაცემის უნარს;
- 3.3. სამართლებრივი ცოდნის პროაქტიულად გამოყენების უნარს;
- 3.4. სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხროციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებთან თუ სხვა ნებისმიერ პირთან სათანადო კომუნიკაციას;

## თავი VI.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასებას ახორციელებს შემდეგი საშუალებებით:

1. ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი;
2. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერები;
3. ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა;
4. მხარდაჭერთა ჯგუფი;
5. სასამართლო პროცესზე დასწრება;
6. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი;

### 1. ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი

#### 1.1. ზოგადი მიმოხილვა

ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი არის დოკუმენტი, რომელსაც ავსებს ადვოკატი/კონსულტანტი ბენეფიციართან კომუნიკაციისას. ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის შევსებას ადვოკატი იწყებს ბენეფიციართან პირველივე კომუნიკაციისთანავე და აგრძელებს საქმის მიმდინარეობის შესაბამისად.

ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი ადვოკატისა/კონსულტანტის და ბენეფიციარის მონაცემების გარდა ასევე შეიტანს შემდეგ ინფორმაციას: (ა) ადვოკატის/კონსულტანტის მიერ საქმის მასალების გაცნობის შესახებ (საქმის მასალების ოდენობას, საქმის მასალების გასაცნობად დათმობილ დროს და საქმის მასალების ბენეფიციართან შეხვედრამდე, შეხვედრისას ან შეხვედრის შემდგომ გაცნობის შესახებ), (ბ) იმ უფლებებთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია ბენეფიციარისათვის და ბენეფიციარის მიერ საქმის შემდგომი მიმდინარეობის შესახებ გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მისაღებად და (გ) ადვოკატის

მიერ ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების შესახებ (აცილების, მტკიცებულებების მოპოვების, გადაწყვეტილების გასაჩივრების და ა.შ.).

ადვოკატის მიერ ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებებთან დაკავშირებით, ადოკატი აკეთებს მხოლოდ ზოგადი ხასიათის აღნიშვნას, ანუ განაცხადა თუ არა თანხმობა ბენეფიციარმა კონკრეტული მოქმედების განხორციელებაზე, ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციისა და გარემოებების მითითების გარეშე.

ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარს ხელს აწერს ადვოკატი/კონსულტანტი, ბენეფიციარი, საქმეში მონაწილეობის შემთხვევაში კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი ან/და თარჯიმანი. თუ ბენეფიციარმა უარი განაცხადა კითხვარის ხელმოწერაზე, ადვოკატი/კონსულტანტი შესაბამის აღნიშვნას აკეთებს კითხვარზე და ადასტურებს საკუთარი ხელმოწერით.

სატელეფონო/ონლაინ კონსულტაციის შემთხვევაში, კონსულტაციის შეფასება ხდება ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის გარეშე. ამასთან, შეფასებელი ბენეფიციართან კმაყოფილების კვლევაში, საჭიროების მიხედვით ასახავს ბენეფიციართა კომუნიკაციის კითხვარით გათვალისწინებულ საკითხებს.

თუ ბენეფიციარი რამდენჯერმე ცხადდება კონსულტაციაზე სხვადასხვა საკითხებზე, მაშინ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი ივსება ყოველ ჯერზე.

ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი ქმნის **პრაქტიკული კომპეტენციების, კერძოდ, - ბენეფიციარის საქმის მასალების გაცნობა, საქმის გასაცნობად საკმარისი დროის დათმობა და სათანადოდ მომზადება, ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ბენეფიციარისათვის უფლებების განმარტება, ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორციელება, ასევე პროფესიული უნარების - სამართლებრივი ცოდნის პროაქტიულად გამოყენების უნარი - შეფასების საშუალებას.**

## 1.2. შეფასების პროცედურა

ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი წარმოადგენს პირველად დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც იწყება შეფასების პროცესი.

(ა) ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარში, ადვოკატი/კონსულტანტი მიუთითებს ბენეფიციართან შეხვედრამდე გაეცნო საქმის მასალებს, შეხვედრისას თუ შეხვედრის შემდგომ. ასევე ინფორმაციას საქმის მასალების ოდენობისა და მის გასაცნობად დათმობილი დროის შესახებ.

თუ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატი/კონსულტანტი გაეცნო საქმის მასალებს, თუმცა, საქმის მასალების რაოდენობა

ობიექტურად გამორიცხავდა ადვოკატის/კონსულტანტის მიერ მითითებულ დროში მისი გაცნობის შესაძლებლობას, მაშინ შემფასებელი საქმის შეფასების შესახებ რეკომენდაციაში (შემდგომ "რეკომენდაცია") მიუთითებს ადვოკატის/კონსულტანტის, კომუნიკაციასა და პროფესიულ უნარებში ტრენინგის გავლის შესახებ.

თუ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატი გაეცნო საქმის მასალებს ბენეფიციართან შეხვედრის შემდეგ, მაშინ შემფასებელი აანალიზებს ადვოკატის მითითებულ მიზეზს. ამასთან, შემფასებელმა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) უნდა შეამოწმოს, ჰქონდა თუ არა ადვოკატს კომუნიკაცია ბენეფიციართან საქმის მასალების გაცნობის შემდგომ, სასამართლო სხდომამდე/საპროცესო მოქმედებების განხორციელებამდე.

თუ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატი გაეცნო საქმის მასალებს ბენეფიციართან შეხვედრის შემდეგ და შესაბამის გრაფაში არ არის მითითებული ბენეფიციართან შეხვედრამდე საქმის მასალების გაცნობის შეუძლებლობის გონივრული მიზეზი, ან იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემით (შემდგომ "case-bank") არ დგიდება, რომ ასეთ შემთხვევაში ადვოკატი, სასამართლო სხდომამზე/საპროცესო მოქმედებების განხორციელებამდე, კვლავ შეხვდა ბენეფიციარს, შემფასებელი რეკომენდაციაში მიუთითებს ადვოკატის, სამოქალაქო/ადმინისტრაციული/სისხლის სამართალში ან საპროცესო კანონმდებლობაში ან კომუნიკაციასა და პროფესიულ უნარებში ტრენინგის გავლის შესახებ.

(ბ) თუ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატმა/კონსულტანტმა ბენეფიციარს არ მიაწოდა ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, მაშინ შემფასებელი მიუთითებს, რა უფლებებთან დაკავშირებით არ მიეწოდა ბენეფიციარს ინფორმაცია და რეკომენდაციაში მიუთითებს შესაბამისი მიმართულებით, ადვოკატის/კონსულტანტის, სამოქალაქო/ადმინისტრაციული/სისხლის სამართალში ან საპროცესო კანონმდებლობაში ტრენინგის გავლის შესახებ.

თუ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატმა/კონსულტანტმა ბენეფიციარს არ მიაწოდა ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, მაგრამ შესაბამის გრაფაში მითითებულია ინფორმაციის მიუწოდებლობის მიზეზები, მაშინ შემფასებელი ახდენს ამ მიზეზების გაანალიზებას და აღნიშნულის საფუძველზე აყალიბებს რეკომენდაციას.

(გ) თუ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბენეფიციარმა გამოხატა ადვოკატის მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელების თანხმობა, შემფასებელი, case-bank-ში ამოწმებს, რამდენად განხორციელა ადვოკატმა ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედება.

თუ case-bank-ში არ ფიქსირდება ადვოკატის მიერ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარში მითითებული ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილი ქმედების განხორციელება, მაშინ შემთასებელი, განსახორციელებელი ქმედების შინაარსიდან გამომდინარე, რეკომენდაციაში მიუთითებს ადვოკატის სამოქალაქო/ადმინისტრაციული/სისხლის სამართალში ან საპროცესო კანონმდებლობაში ტრენინგის გავლის შესახებ.

თუ case-bank-ში ფიქსირდება ადვოკატის მიერ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარში მითითებული ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილი ქმედების განუხორციელებლობის მიზეზები, მაშინ შემთასებელი, case-bank-ისა და ბენეფიციარის კმაყოფილების კითხვარის ანალიზის საფუძველზე ადგენს, განემარტა თუ არა ბენეფიციარს მასთან შეთანხმებული ქმედებების განუხორციელებლობის შესახებ შესაბამისი მიზეზების მითითებით და რამდენად გონივრულია აღნიშნული. თუ შემთასებელი დაადგენს, რომ ადვოკატმა ბენეფიციარს არ განუმარტა მასთან შეთანხმებული ქმედებების განუხორციელებლობის შესახებ (შესაბამისი მიზეზების მითითებით) მაშინ შემთასებელი, განსახორციელებული ქმედების შინაარსიდან გამომდინარე, რეკომენდაციაში მიუთითებს ადვოკატის, სამოქალაქო/ადმინისტრაციული/სისხლის სამართალში ან საპროცესო კანონმდებლობაში ტრენინგის გავლის შესახებ.

## 2. იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (Case-bank)

### 2.1. ზოგადი მიმოხილვა

იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (case-bank) არის სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციებისა და იურიდიული დახმარების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც აისახება ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საქმეებისა თუ კონსულტაციების და ასევე ადვოკატების/კონსულტანტების მიერ განხორციელებული ქმედებების/აქტივობების შესახებ.

იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (case-bank) არის ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარში და ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევაში მითითებული ადვოკატის/კონსულტანტის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასების საშუალება.

იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (case-bank) ქმნის პრაქტიკული კომპეტენციის, კერძოდ, – იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) საქმის მასალების გაცნობა, საქმის გასაცნობად საკმარისი დროის დათმობა და სათანადოდ მომზადება; ბენეფიციართან სათანადო კომუნიკაცია; ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება; ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორციელება; სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ ორგანოში/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში დროულად გამოცხადება – შეფასების საშუალებას.

## 2.2. შეფასების პროცედურა

შემფასებელი იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) ახდენს ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარში და ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევაში მითითებული იმ საკითხების მოძიებას, რომლის შეფასებაც სურს და მონაცემების ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აყალიბებს დადებით დასკვნას ან უარყოფით რეკომენდაციას.

თუ იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (case-bank) არ შეიცავს შემფასებლისათვის საჭირო მონაცემებს (ადვოკატს არ აქვს შესაბამისი ინფორმაცია შევსებული), მაშინ შემფასებელი შეფასებას ახდენს იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ასახულია case-bank-ში. ადვოკატის/კონსულტანტის მიერ case-bank-ის არასრული შევსება ან შეუვსებლობა არ წარმოადგენს შემფასებლის რეკომენდაციის გადახედვის საფუძველს.

საკითხის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, შემფასებელი, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, რეკომენდაციაში მიუთითებს ადვოკატის/კონსულტანტის სამოქალაქო/ადმინისტრაციული/სისხლის სამართალში ან საპროცესო კანონმდებლობაში ან/და კომუნიკაციისა და ადვოკატის უნარებში ტრენინგის გავლის შესახებ.

## 3. ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა

### 3.1. ზოგადი მიმოხილვა

საქმის/კონსულტაციის დასრულების შემდგომ ბენეფიციარს ეგზავნება ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურეობის შესახებ. ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევაში ბენეფიციარი მიუთითებს მის შეფასებას სამსახურის (ადვოკატის/კონსულტანტის) მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით.

ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა, ბენეფიციარისა და ადვოკატის/კონსულტანტის მონაცემების გარდა შეიცავს: 1. ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურეობის ზოგად შეფასებას და 2. ბენეფიციარის პოზიციას მომსახურეობის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით.

ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა შესაძლოა შეიცავდეს შემდეგ კითხვებს:

1. რამდენჯერ იყო პირი იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარი?
2. როგორ შეაფასებდა ბენეფიციარი საზოგადოებრივი ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურეობას ზოგადად?

3. საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებდა თუ არა მომავალში ბენეფიციარი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურეობით?
4. საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებდა თუ არა მომავალში ბენეფიციარი იურიდიული დახმარების სამსახურის იმავე ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურეობით, რომელმაც გაუიწიათ მომსახურეობა?
5. რა მოეწონა ბენეფიციარს ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურეობისას?
6. რა არ მოეწონა ბენეფიციარს ადვოკატის/კონსულტანტის მომსახურეობაში?
7. რამდენად მარტივად და გასაგებად გადასცა ადვოკატმა/კონსულტანტმა ბენეფიციარს ინფორმაცია საქმისა და განსახორციელებელი ქმედებების შესახებ?
8. დაუთმო თუ არა ადვოკატმა/კონსულტანტმა ბენეფიციარს საკმარისი დრო?
9. დაუთმო თუ არა ადვოკატმა/კონსულტანტმა ბენეფიციარს საკმარისი ყურადღება?
10. რამდენად დროულად ცხადდებოდა ადვოკატი ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში?
11. აცნობა თუ არა ადვოკატმა ბენეფიციარს ყველა საპროცესო მოქმედების, მათი მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ?
12. რამდენად დროულად აცნობა ადვოკატმა ბენეფიციარს საპროცესო მოქმედების, მათი მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ?
13. მიაწოდა და გააცნო თუ არა ადვოკატმა ბენეფიციარს საპროცესო დოკუმენტები?
14. რამდენად დროულად გააცნო ადვოკატმა ბენეფიციარს საპროცესო დოკუმენტები?
15. იყო თუ არა ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები შეთანხმებული ბენეფიციართან?
16. განახორციელა თუ არა ადვოკატმა ბენეფიციართან შეთანხმებული ყველა ქმედება?
17. აცნობა თუ არა ადვოკატმა ბენეფიციარს შეთანხმებული ქმედებების განხორციელების შედეგები?
18. აცნობა თუ არა ადვოკატმა ბენეფიციარს შეთანხმებული ქმედებების განუხორციელებლობის მიზეზები?
19. იყო თუ არა მომზადებული ადვოკატი კონსულტაციის გაწევისას, საპროცესო მოქმედებებსა თუ სასამართლოს სხდომაზე მონაწილეობისათვის?
20. როგორ შეაფასებდა ბენეფიციარი ადვოკატის კომუნიკაციას კონსულტაციის გაწევისას, საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას ან/და სასამართლოს სხდომის დარბაზში?
21. არის თუ არა ბენეფიციარი კმაყოფილი საქმის/კონსულტაციის შედეგით?
22. დასრულდა თუ არა საქმე/კონსულტაცია იმ შედეგით რომელიც ადვოკატმა/კონსულტანტმა სავარაუდოდ მიუთითა ბენეფიციარს?

შემფასებელი უფლებამოსილია საქმის თავისებურების გათვალისწინებით ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევაში მიუთითოს სხვა კითხვებიც.

თუ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარს ხელს არ აწერს ბენეფიციარი და მასზე ფიქსირდება მხოლოდ ადოკატის/კონსულტანტის ხელმოწერა, ან ადვოკატი/კონსულტანტი უთითებს, რომ ბენეფიციარმა უარი განაცხადა კითხვარის ხელმოწერაზე, მაშინ შემფასებელი

ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევაში საჭიროებიდან გამომდინარე, მიუთითებს ყველა იმ საკითხს, რომელიც მოცემულია ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარში.

ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევას ბენეფიციარს ფოსტოს საშუალებით უგზავნის შემფასებელი ბენეფიციარისათვის გასაგებ ენაზე. ბენეფიციარის მიერ შევსებული კვლევას აანალიზებს შემფასებელი და ადგენს შესაბამის დასკვნას/რეკომენდაციას.

შემფასებელი უფლებამოსილია ბენეფიციარს დაუკავშირდეს სატელეფონო ან სხვა ელექტრონული საშუალებით და მიიღოს ინფორმაცია კვლევაში მითითებული საკითხებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, შემფასებელი ვალდებულია, შეინახოს ბენეფიციართან კომუნიკაციის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი. შემფასებელი ვალდებულია კვლევაში მითითებული კითხვარის შევსებამდე გააფრთხილოს ბენეფიციარი ვიდეო ან აუდიო ჩაწერის შესახებ და მხოლოდ ბენეფიციარის თანხმობის შემდგომ გააგრძელოს კითხვარის შევსება.

ბენეფიციართან გასაუბრების აუდიო და ვიდეო ჩანაწერი ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადით.

ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა ქმნის **პრაქტიკული კომუნიკაციის**, კერძოდ, - იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) საქმის მასალების გაცნობა, საქმის გასაცნობად საკმარისი დროის დათმობა და სათანადოდ მომზადება; ბენეფიციართან სათანადო კომუნიკაცია; ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორცელება; სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ ორგანოში/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა მარტივი და გასაგებად გამოცხადება, ასევე **პროფესიული უნარების** - ბენეფიციართან კომუნიკაციისას ადვოკატის მიერ ემპათიის გამოჩენა; ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მარტივად და გასაგებად გადაცემის უნარი; სამართლებრივი ცოდნის პრაქტიულად გამოყენების უნარი; სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ ორგანოში/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებთან თუ სხვა ნებისმიერ პირთან სათანადო კომუნიკაცია შეფასების საშუალებას.

### 3.2. შეფასების პროცედურა

ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევაში მითითებული "ზოგადი შეფასება" შემფასებელს უქმნის ზოგად წარმოდგენას გაწეულ მომსახურეობასთან დაკავშირებით.

თუ ბენეფიციარი, ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევაში კონკრეტულ მომსახურეობასთან მიმართებით აკეთებს „დადებით“ აღნიშვნას, მაშინ შემფასებელი დადებითად აფასებს კითხვას, ხოლო თუ ბენეფიციარი კვლევაში კონკრეტულ მომსახურეობასთან მიმართებით აკეთებს აღნიშვნას „უარყოფით“ ან „საშუალო“ აღნიშვნას, მაშინ შემფასებელი შესაბამისად,

უარყოფითად ან საშუალოდ აფასებს საკითხს და რეკომენდაციაში, მიუთითებს ადვოკატის/კონსულტანტის სამოქალაქო/ადმინისტრაციული/სისხლის სამართალში ან საპროცესო კანონმდებლობაში ან/და კომუნიკაციისა და ადვოკატის უნარებში ტრენინგის გავლის შესახებ.

შემფასებელი, ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევაში მითითებულ საკითხებს, რომლებიც ეხება ბენეფიციარის მიერ კონკრეტული ფაქტის აღქმას აფასებს გონივრული სტანდარტით, ხოლო იმ საკითხებს, რომლებიც ეხება კონკრეტულ ფაქტებს აფასებს იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) არსებული ინფორმაციის მიხედვით და საშუალოდ, უარყოფითად შეფასების შემთხვევაში რეკომენდაციაში, მიუთითებს ადვოკატის კომუნიკაციასა და პროფესიული უნარებში ტრენინგის გავლის შესახებ.

თუ ბენეფიციარმა შემმოწმებლის მიერ შერჩეულ საქმესთან/კონსულტაციასთან დაკავშირებით არ შეავსო ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა, მაშინ შემფასებელი საქმეს/კონსულტაციას აფასებს ამ საქმეზე/კონსულტაციაზე ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, შემფასებელი უფლებამოსილია ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა მოახდინოს ნებისმიერ სხვა საქმეზე და ასახოს რეკომენდაციაში.

#### 4. სასამართლო პროცესზე დასწრება

##### 4.1. ზოგადი მიმოხილვა

შემფასებელი, ადვოკატთან წინასწარ შეთანხმებით, ესწრება ადვოკატის მონაწილეობით წარმართულ ნებისმიერ სასამართლო სხდომას და აანალიზებს საზოგადოებრივი ადვოკატის ორგანიზებულობასა და კომუნიკაციის უნარებს.

შემფასებელი შეფასების პროცესში ესწრება ადვოკატის ერთ პროცესს მაინც. შემფასებელი უფლებამოსილია დაესწროს ადვოკატის რამდენიმე პროცესს.

პროცესზე დასწრება არ გამოიყენება კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურეობის შეფასებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონსულტანტი ასრულებს ადვოკატის ფუნქციებს.

სასამართლო პროცესზე დასწრება ქმნის პრაქტიკული კომპეტენციის, კერძოდ, –სასამართლოში დროულად გამოცხადება, ასევე პროფესიული უნარების – ბენეფიციართან კომუნიკაციისას ადვოკატის მიერ ემპათიის გამოჩენა; ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მარტივად და გასაგებად გადაცემის უნარი; სამართლებრივი ცოდნის პროაქტიულად გამოყენების უნარი; სასამართლოში კომუნიკაცია – შეფასების საშუალებას.

##### 4.2. შეფასების პროცედურა

შემფასებელი სასამართლო სხდომისათვის განკუთვნილ დროს ცხადდება სასამართლოში ესწრება სასამართლო სხდომას და ანალიზებს ადვოკატის ორგანიზებულობას და კომუნიკაციის უნარებს.

თუ შემფასებელი ადვოკატის ორგანიზებულობაში ან/და კომუნიკაციის უნარებში გამოავლენს ხარვეზებს, მაშინ ის აკეთებს შესაბამის ჩანაწერს და რეკომენდაციაში, მიუთითებს ადვოკატის კომუნიკაციასა და პროფესიული უნარებში ტრენინგის გავლის შესახებ.

## 5. მხარდამჭერთა ჯგუფი

### 5.1. ზოგადი მიმოხილვა

მხარდამჭერთა ჯგუფი შედგება იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატებისაგან (შემდგომში "მხარდამჭერი"). მხარდამჭერთა ჯგუფი ახორციელებს საზოგადოებრივი ადვოკატების სამართლებრივ მხარდაჭერას. მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვა არის ნებაყოფლობითი.

მხარდამჭერთა ჯგუფს ადვოკატის მიერ ინფორმაცია მიეწოდება დეპერსონალიზებული ფორმით.

მხარდამჭერთა ჯგუფი ყალიბდება 6 მიმართულებით. სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართლის, სისხლის სამართლის მიმართულებებითა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე, არასრულწლოვანთა და ნაფიც მსაჯულთა განსჯადი საქმეების მიმართულებით.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული მიმართულებით, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთა და ნაფიც მსაჯულთა განსჯად საქმეებთან დაკავშირებით მხარდამჭერთა თითოეული ჯგუფი შედგება მინიმუმ 2 ადვოკატისგან. მხარდამჭერთა ჯგუფი სისხლის სამართლის მიმართულებით შედგება მინიმუმ 5 ადვოკატისგან.

რეკომენდაცია გაიცემა შესაბამისი მიმართულების მხარდამჭერთა ჯგუფის ყველა ან ერთი წევრის/მხარდამჭერის მიერ.

მხარდამჭერთა ჯგუფი, ადვოკატის მიერ წამოჭრილ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით თავის პოზიციას აყალიბებს როგორც წესი წერილობითი ფორმით, რომელსაც აქვს მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

თუ საკითხის დროულობიდან გამომდინარე, მხარდამჭერთა ჯგუფი გასცემს ზეპირ რეკომენდაციას, მაშინ კონსულტაციის დასრულების შემდგომ უნდა მოხდეს მხარდამჭერთა

ჯგუფის რეკომენდაციის დაოქმება. მხარდამჭერთა ჯგუფი ვალდებულია, თავისი რეკომენდაციაში მიუთითოს შესაბამის სამართლებრივ წყაროზე.

მხარდამჭერთა ჯგუფი ადვოკატის მიერ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით აყალიბებს ერთიან დასაბუთებულ რეკომენდაციას ან ერთიანი პოზიციის არარსებობის შემთხვევაში, მხარდამჭერთა ჯგუფის თითოეული წევრი გასცემს დამოუკიდებელ ინდივიდუალურ რეკომენდაციას. ადვოკატი, უფლებამოსილია გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს მხარდამჭერთა ერთობლივი ან დამოუკიდებელი რეკომენდაცია.

მხარდამჭერთა ჯგუფი ქმნის პროფესიული კომპეტენციის, კერძოდ, – ადვოკატის მიერ შესაბამისი დარგის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, საკანონდებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებების, საქართველოს სასამართლო პრაქტიკის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების და სხვა საერთაშორისო აქტების ცოდნა – უზრუნველყოფის საშუალებას.

მხარდამჭერთა ჯგუფში ადვოკატების (მხარდამჭერების) არჩევის წესი, მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვისა და რეკომენდაციის გაცემის პროცედურა რეგულირდება მხარდამჭერთა ჯგუფის დებულებით.

## 6. იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი

იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი შეფასების ფარგლებში გამოვლენილი და სხვა ტრენინგ საჭიროებების კვლევის საფუძველზე, ახორციელებს ტრენინგების ორგანიზებასა და საზოგადოებრივი ადვოკატების/კონსულტანტების დასწრების ორგანიზებას.

იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი ფუნქციონირების წესი განისაზღვრება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სამსახურის დირექტორი.

იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი ახდენს სამსახურის დირექტორისა და ხარისხის შეფასების სამმართველოს ინფორმირებას იმ ადვოკატების/კონსულტანტების მიერ ტრენინგზე დასწრების/არ დასწრების შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც ხარისხის შეფასების სამსახურის მიერ დადგენილ იქნა ტრენინგზე დასწრების რეკომენდაცია.

იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი ქმნის პროფესიული კომპეტენციის, კერძოდ, – ადვოკატის მიერ შესაბამისი დარგის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, საკანონდებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებების, საქართველოს სასამართლო პრაქტიკის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების და სხვა საერთაშორისო აქტების ცოდნა; პრაქტიკული კომპეტენციის, კერძოდ, –

ბენეფიციართან სათანადო კომუნიკაცია; ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება; ბენეფიციარისათვის უფლებების განმარტება; ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორცელება; პროფესიული უნარების, კერძოდ, – ბენეფიციართან კომუნიკაციისას ადვოკატის მიერ ემპათიის გამოჩენა; ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მარტივად და გასაგებად გადაცემის უნარი; სამართლებრივი ცოდნის პროაქტიულად გამოყენების უნარი; სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ ორგანოში/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებთან თუ სხვა ნებისმიერ პირთან სათანადო კომუნიკაცია – უზრუნველყოფის საშუალებას.

## თავი VII.

### იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასების უფლებამოსილება და პროცედურა

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასებას ახორციელებს იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხის შეფასების სამმართველო.

სისხლის სამართლის მიმართულებით საზოგადოებრივი ადვოკატის/კონსულტანტის წარმოებული საქმის/კონსულტაციის შეფასებას ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი (შემდგომში "შემფასებელი"), ხოლო სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეებზე/კონსულტაციებზე – სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი (შემდგომში "შემფასებელი").

ერთი ადვოკატის/კონსულტატის საქმის/კონსულტაციის შეფასება ხორციელდება ხარისხის შეფასების სამმართველოს შესაბამისი მიმართულების ერთი იურისტის/შემფასებლის მიერ.

შემფასებელს არ აქვს უფლება შეაფასოს ადვოკატი/კონსულტანტი, თუ შემფასებელი არის ადვოკატის/კონსულტანტის მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი ხაზის ნათესავი, და-მმა, დისშვილი და ძმისშვილი, მშობლების და-მმა, დანათესავებული (მოყვარე), ან თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არის დაკავშირებული ადვოკატთან/კონსულტანტთან.

თუ კონსულტანტი ახორციელებს ბენეფიციარის წარმომადგენლობას სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ან პროცესის მწარმოებელ/საგამოძიებო ორგანოებში, მაშინ მისი შეფასება ხორციელდება ადვოკატის შეფასებისათვის დადგენილი წესით.

ადვოკატის/კონსულტანტის საქმე/კონსულტაცია შეიძლება შეფასდეს წინამდებარე შეფასების წესისა და კრიტერიუმების შესაბამისად, თუ საქმე/კონსულტაცია ადვოკატს დაეწერა წინამდებარე წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შემდგომ.

ხარისხის შეფასების სამმართველო წლის განმავლობაში აფასებს სამსახურის ყველა ადვოკატს/კონსულტანტს.

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის შეფასების პროცედურა:

1. ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტის მიერ შესაფასებელი საქმეების შერჩევა;
2. მომსახურეობის ხარისხის შეფასება;
3. რეკომენდაციების/დასკვნის მომზადება;
4. რეკომენდაციის შედეგები და გადახედვა;

## 1. საქმეების შერჩევა

ხარისხის შეფასების სამმართველოს მიერ წელიწადში ერთხელ, მოწმდება, მიმდინარე წელს ერთი ადვოკატის/კონსულტანტის მიერ დასრულებული სულ მცირე 10 საქმე/კონსულტაცია. ხარისხის შეფასების სამმართველო უფლებამოსილია შეამოწმოს, ადვოკატის/კონსულტანტის მიერ დასრულებული ყველა საქმე/კონსულტაცია.

შემფასებელი უფლებამოსილია შეაფასოს საქმე, თუ ბენეფიციარს გამოთქმული აქვს თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების შეფასების მიზნებისათვის დამუშავებაზე.

თუ საქმის შერჩევისას case-bank-ში არ ფიქსირდება ბენეფიციარის თანხმობა, მაშინ შემფასებელი ბენეფიციარს უგზავნის თანხმობის წერილს და მხოლოდ ბენეფიციარისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში იწყებს საქმის შეფასებას.

ბენეფიციარის თანხმობის მოპოვება შესაძლებელია სატელეფონო ან სხვა ელექტრონული საშუალებებით. ამასთან, შემფასებელი ვალდებულია კანონდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს ბენეფიციართან გასაუბრების აუდიო ჩაწერა და შენახვა.

შემფასებლის მიერ საქმეთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება: საქმის სირთულე, განხილვის ფორმა, ადვოკატის ჩართულობა და სხვა გარემოებები.

თუ ადვოკატი ჩამოსცილდა საქმეს – საქმის სხვა ადვოკატისათვის გადაწერის, საქმეში კერძო ადვოკატის ჩართვის გამო ან სხვა მიზეზით და არ ფიქსირდება ამ საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებები, მაშინ ასეთი საქმეები ძირითადად არ ექვემდებარება შეფასებას.

თუ ადვოკატის/კონსულტანტის დასრულებული საქმეები წლის განმავლობაში არ აღემატება 10-ს, მაშინ ხარისხის შეფასების სამმართველო აფასებს ადვოკატის/კონსულტანტის ყველა საქმეს/კონსულტაციას.

## 2. მომსახურეობის ხარისხის შეფასება

ხარისხის შეფასების სამმართველო შეფასებას ახორციელებს პრაქტიკული კომპეტენციისა და პროფესიული უნარების კრიტერიუმებში, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი საშუალებებით. კერძოდ,

ადვოკატის/კონსულტანტის ნაწარმოები საქმის/კონსულტაციის არჩევის შემდგომ, ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი თავდაპირველად სწავლობს ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარს.

აღნიშნულის შემდგომ, იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერების მიხედვით ხდება ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარში მითითებული ინფორმაციისა და აქტივობების შესაბამისობის დადგენა.

ამასთანავე, ხარისხის შეფასების სამმართველოს თანამშრომელი ბენეფიციარს უგზავნის ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევას და შემდგომ აანალიზებს ბენეფიციარის მიერ შევსებულ ინფორმაციას იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერების მიხედვით.

სატელეფონო/ონლაინ კონსულტაციის შემთხვევაში, შეფასების პროცედურა იწყება იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერების მიხედვით.

შეფასების პროცესში, ხარისხის შეფასების სამმართველოს თანამშრომელი ადვოკატთან წინასწარი შეთანხმებით ესწრება ადვოკატის მონაწილეობით წარმართულ ნებისმიერ სასამართლო სხდომას და აანალიზებს ადვოკატის ორგანიზებულობასა და კომუნიკაციას, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი სტანდარტების ფარგლებში.

## 3. რეკომენდაციით/დასკვნის მომზადება

ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის, იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank), ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევის შესწავლისა და სასამართლო პროცესზე დასწრების ანალიზის შედეგად, შემფასებელი ამზადებს რეკომენდაციებს, რომლებშიც კონკრეტულად, პუნქტობრივად მიეთითება პრაქტიკული კომპეტენციისა და პროფესიული უნარების ის სფეროები, რომლებშიც ადვოკატი/კონსულტანტი საჭიროებს ტრენინგებზე დასწრებას.

თუ შემფასებელი დაადგენს, რომ საქმე/კონსულტაცია შეესაბამება წინამდებარე წესითა და კრიტერიუმებით დადგენილ სტანდარტებს, მაშინ შემფასებელი ადგენს დასკვნას, რომელშიც მიეთითება, რომ ადვოკატი/კონსულტანტი არ საჭიროებს გადამზადებას/ტრენინგებზე დასწრებას.

ხარისხის შეფასების სამმართველოს რეკომენდაცია უნდა იყოს დასაბუთებული და მასში მითითებული უნდა იყოს რა გარემოებების საფუძველზე მოახდინა შემფასებელმა კონკრეტული რეკომენდაციების/დასკვნის ჩამოყალიბება.

რეკომენდაციის/დასკვნის დასაბუთებაში თითოეული შეფასებული საქმის/კონსულტაციის შეფასება ხორციელდება ცალ-ცალკე და შემდგომ მათი ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დგება რეკომენდაცია/დასკვნა.

სამსახურის ხარისხის შეფასების სამმართველოს რეკომენდაცია/დასკვნა ეგზავნება სამსახურის დირექტორს ხოლო რეკომენდაცია დამატებით ეგზავნება იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრს. რეკომენდაციის საფუძველზე, იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი ახორციელებს შესაბამისი სასწავლო პროგრამების დაგეგმვასა და ორგანიზებას.

#### 4. რეკომენდაციის შედეგები და გადახედვა

რეკომენდაცია ეგზავნება შესაბამის ადვოკატს/კონსულტანტს, რომელიც ვალდებულია იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრში დაესწროს შესაბამის ტრენინგებს.

ხარისხის შეფასების სამმართველო აკონტროლებს ადვოკატის/კონსულტანტის მიერ შესაბამის ტრენინგის გავლას და რეკომენდაციის შეუსრულებლობის (ნაწილობრივ შეუსრულებლობის) შემთხვევაში აცნობოს სამსახურის დირექტორს.

ადვოკატი/კონსულტანტი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს რეკომენდაციის შედეგებს და რეკომენდაციის მისთვის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარადგინოს რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ დასაბუთებული პოზიცია ხარისხის შეფასების სამმართველოში.

რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ ადვოკატის დასაბუთებული პოზიცია არ შეიძლება ეფუძნებოდეს იმ ფაქტს, რომ ადვოკატს/კონსულტანტს არასრულად ჰქონდა შევსებული case-bank-ი ან/და არ მოუხდენია ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარის შევსება ან მისი case-bank-ში ატვირთვა. ასეთ შემთხვევაში, ხარისხის შეფასების სამმართველო რეაგირების გარეშე დატოვებს ადვოკატის/კონსულტანტის პოზიციას.

სამსახურის ხარისხის შეფასების სამმართველო ადვოკატის/კონსულტანტის პოზიციის მიღებიდან 1 თვის ვადაში სწავლობს ადვოკატის/კონსულტანტის დასაბუთებულ პოზიციას და ადგენს შესაბამის დასკვნას მისი გაზიარების ან უარყოფის შესახებ. რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ პოზიციას სწავლობს ხარისხის შეფასების სამმართველოს შესაბამისი მიმართულების ის იურისტი, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა საქმის/კონსულტაციის შეფასებაში.

## სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარებისა და რეფორმირების პროექტი

### 1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარებისა და რეფორმირების სფეროები და სკიოთხები

- სამსახურის სასწავლო ცენტრი;
- იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (Case-bank);
- ადვოკატების საქმისწარმოება;
- სამსახურის საქმისწარმოება;
- საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობა;
- მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადოკატების საქმიანობა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR);
- ადამიანური რესურსების მართვა (HR);
- რთული კატეგორიის საქმეების სპეციალიზებულ ადვოკატთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სპეციალიზებულ ადვოკატთა მხარდაჭერი ჯგუფი;
- დისტანციური სამართალწარმოება;
- დისტანციური კომუნიკაცია პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებთან - „ონლაინ ოთახი“;
- ფინანსური საკითხები;

### 2. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარებისა და რეფორმირების მიმოხილვა

#### სამსახურის სასწავლო ცენტრი

##### განვითარების მიმართულებები:

- სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება;
- ტრენინგების ფორმატის დადგენა/დისტანციური რეჟიმის დანერგვა, ვიდეო ტრენინგები ადვოკატებისათვის;
- სასწავლო პროგრამის აკრედიტაცია;
- ტრენერთა რეესტრის ფორმირება;
- იურიდიული კლინიკების განვითარება;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა;
- სასწავლო ღონისძიებების შეფასების სისტემის შექმნა;
- იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში გამოვლენილი ტრენინგ საჭიროებების საფუძველზე, ტრენინგების

- ორგანიზებასა და საზოგადოებრივი  
ადვოკატების/კონსულტანტების დასწრების ორგანიზება;
- საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;
  - სასწავლო ცენტრის ბიუჯეტის დაგეგმვა;

### იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (Case-bank)

განვითარებისა და რეფორმირების მიმართულებები:

- საქმეთა ელექტრონული გადანაწილება ადვოკატთა რეალური  
დატვირთულობის მიხედვით;
- სტატისტიკის სრულყოფილად დამუშავება;
- იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული  
იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების  
ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში არსებული  
საჭიროებების ფუნქციონალის განვითარება;
- ადვოკატთა ცენტრალიზებული კალენდარი შეხსენების  
ფუნქციით;
- ზეგანაკვეთური სამუშაოების გამოთვლა;
- მობილური აპლიკაცია;

### ადვოკატების საქმისწარმოება

განვითარებისა და რეფორმირების მიმართულებები:

- საქმის შესახებ ინფორმაციის დამუშავება (საქმის შესახებ  
ინფორმაციის ასახვას შესაბამის ელექტრონულ სისტემაში  
(case-bank)),
- საქმეებთან დაკავშირებით კალენდრის წარმოება;
- საქმის მასალების წარმოება (საქმის მასალების შეგროვება,  
შენახვა, დახარისხება, გადაბარება, განადგურება);
- ინტერესთა კონფლიქტის საკითხები;
- ბენეფიციარის პერსონალური მონაცემებისა და კლიენტისა და  
ადვოკატის კონფიდენციალური მონაცემების დაცვა;
- კომუნიკაციის სტანდარტები.

### სამსახურის საქმისწარმოება

განვითარებისა და რეფორმირების მიმართულებები:

- ცენტრალიზებული საქმისწარმოების სისტემის განვითარება;
- საქმისწარმოება, დაარქივება, ვადების კონტროლი;
- ელექტრონული დოკუმენტების (მათ შორის, ელექტროულ ფოსტაზე მიღებული დოკუმენტების) აღრიცხვა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წესების დაცვა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემა;

### საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობა

განვითარებისა და რეფორმირების მიმართულებები:

- საკონსულტაციო ცენტრების დატვირთულობა;
- საკონსულტაციო ცენტრების საქმისწარმოება;
- კონსულტანტებისათვის ადვოკატის უფლებამოსილების მინიჭება;
- კონსულტანტების გასვლითი საკონსულტაციო, საინფორმაციო ღონისძიებების დაგეგმვა;

### მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადვოკატების საქმიანობა

განვითარებისა და რეფორმირების მიმართულებები:

- მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში ჩარიცხვის წესი, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადვოკატებთან დადებული ხელშეკრულება;
- რეესტრის ადვოკატებზე საქმეთა გადაცემა/საქმეში ჩართვა;
- რეესტრის ადვოკატების საქმისწარმოება;
- რეესტრის ადვოკატების ანგარიშება;
- რეესტრის ადვოკატების ანაზღაურება;

### საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)

განვითარებისა და რეფორმირების მიმართულებები:

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;
- სამთავრობო გეგმებით დადგენილი გასვლითი



საკონსულტაციო, საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარების გეგმა, ინფორმაციის მიწოდების ფორმები;

- საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება;
- სამსახურის ვებ-გვერდის განახლება/ადაპტაცია არასრულწლოვანთა საჭიროებებზე;
- რადიო გადაცემის პროექტის განხორციელება;

### **ადამიანური რესურსების მართვა (HR)**

განვითარებისა და რეფორმირების მიმართულებები:

- სამუშაო დისციპლინა;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს გამოთვლა და ანაზღაურება;
- თანამშრომლის საბოლოო ანგარიშსწორება;

**რთული კატეგორიის საქმეების სპეციალიზებულ ადვოკატთა ჯგუფი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სპეციალიზებულ ადვოკატთა მხარდამჭერი ჯგუფი**

განვითარების მიმართულებები:

- რთული კატეგორიის საქმეების სპეციალიზებულ ადვოკატთა ჯგუფის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სპეციალიზებულ ადვოკატთა ჯგუფის შექმნა;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სპეციალიზებულ ადვოკატთა მხარდამჭერი ჯგუფის ფორმირება;

### **დისტანციური სამართალწარმოება**

განვითარების მიმართულებები:

- დისტანციური სამართალწარმოების ანალიზი;
- დისტანციური სამართაწარმოების დანერგვის ხელშეწყობა;

**დისტანციური კომუნიკაცია პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებთან - „ონლაინ ოთახი“**



განვითარების მიმართულებები:

- დისტანციური კომუნიკაციის ანალიზი;
- დისტანციური კონუნიკაციის დანერგვის ხელშეწყობა;
- „ონლაინ ოთახის“ მოწყობა;

### **ფინანსური საკითხები**

განვითარებისა და რეფორმირების მიმართულებები:

- საბიუჯეტო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი სტანდარტების დანერგვა.